ანგარიში # 2 / 2020

# ვინ განსაზღვრავს ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს დღის წესრიგს?

## ჩინეთის გავლენის ოპერაციები აკადემიაში, მედიასა და არასამთავრობო სექტორში:

## საქართველოს მაგალითი

სამოქალაქო იდეა
ივლისი, 2020

# ვინ განსაზღვრავს ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს დღის წესრიგს?

## ჩინეთის გავლენის ოპერაციები აკადემიაში, მედიასა და არასამთავრობო სექტორში საქართველოს მაგალითი

**თინათინ ხიდაშელი**
**ანი კინწურაშვილი**

თბილისი, საქართველო
ივლისი, 2020
ანგარიში # 2/2020

# სარჩევი

შესავალი 2

რატომ ჩინეთი და რატომ ჩინეთის გავლენის ოპერაციები? 3

გავლენის ოპერაციები აკადემიურ წრეებში მსოფლიოს მასშტაბით. 10

გავლენის ოპერაციები საქართველოს აკადემიურ სექტორში. 15

ჩინეთის გავლენის ოპერაციები საინფორმაციო სივრცეში. 26

ჩინეთის გავლენა ქართულ მედიაზე. 32

სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა 39

5G და ჰუავეი. 39

ჩინეთის სოციალური მედია, ტიკ-ტოკის მაგალითი. 47

ბიბლიოგრაფია. 53

# შესავალი

ქართული არასამთავრობო, ანალიტიკური ორგანიზაცია, სამოქალაქო იდეა, ბოლო სამი წელია იკვლევს და აკვირდება ჩინეთის საქმიანობას საქართველოში. მისი ხელმძღვანელი, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, თინათინ ხიდაშელი აცხადებს, რომ ქვეყანაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ძალის არაკონტროლირებადი და გაუწონასწორებელი ზრდა, საფრთხეს უქმნის, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებასა და დემოკრატიულ განვითარებას.

ჩვენმა გადაწყვეტილებამ, ჩინეთის გავლენის ოპერაციებზე გვემუშავა, ბევრი ადამიანის გაოცება გამოიწვია საქართველოში. ქართული კვლევითი და სადამკვირვებლო ორგანიზაციები, იმდენად არიან დაკავებულნი, სრულიად ობიექტური მიზეზების გამო, რუსული გავლენის ოპერაციების, პროპაგანდისა და მანიპულირების ტექნიკის კვლევით, ხოლო რუსეთი, თავის მხრივ, ცეცხლზე ნავთს ასხამს, რომ სხვა დანარჩენი ინიციატივების საკვლევად რესურსი აღარ რჩება.

2020 წლის სექტემბერში, ჩვენ, მორიგ ანგარიშს გამოვაქვეყნებთ ჩინეთის ეკონომიკის გავლენებსა და ძალაზე, ასევე განვიხილავთ კორუფციად საშიშ საქმეებს სადაც ერთმნიშვნელოვნად ჩანს ქართული სახელმწიფოს სისუსტე და მყიფე ხასიათი. უფრო მეტიც, მომდევნო ანგარიშებში დავინახავთ, რომ სახელისუფლებო წრეების მრავლობითი წარმომადგენლები ჩვეულებრივ კორუფციულ გარიგებებსა და სქემებში მონაწილეობენ, ზოგჯერ პირადი სარგებლის მიღების მიზნით, ზოგჯერ კი უნებურად ინსტიტუციური სიმყარის არარსებობისა და კანონის უზენაესობის ნაკლებობის გამო.

წინამდებარე ანგარიშში კი გთავაზობთ აკადემიურ სფეროში, მედიასა და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, და შესაბამისად ჩინეთის კომუნისტური პარტიის, პოლიტიკური გავლენების საკითხის კვლევას.

## რატომ ჩინეთი და რატომ ჩინეთის გავლენის ოპერაციები?

დავიწყოთ ჩინეთის კომუნისტური პარტიის მე-18 კონგრესის მესამე პლენუმით, რომელიც 2013 წელს ჩატარდა და რომელზეც მიღებულ იქნა ეგრეთწოდებული დოკუმენტი #9 (Communiqué on the Current State of the Ideological Sphere). დოკუმენტ #9 -ის მიღება განპირობებული იყო ჩინეთის კომუნისტური პარტიის შიშით „მზარდი საფრთხეების მიმართ" და იგი წარმოადგენს მის ერთგვარ სტრატეგიულ გეგმას, იმ შემთხვევისთვის, თუ სხვაგვარად ვერ მოხერხდება უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევების სათანადოდ და დროულად დაძლევა და განეიტრალება.

დოკუმენტი #9 და მასში გადმოცემული სტრატეგიული ამოცანებისა და გეგმების, ისევე როგორც მის შესაბამისად განხორციელებული საქმიანობის ვრცელი, კომპლექსური და სიღრმისეული კვლევა აბსოლუტურად გადაუდებელი საჭიროება და აუცილებლობაა, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოებისთვის, ასევე დემოკრატიული განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნებისთვის.

მაშ ასე, დოკუმენტ #9-ში განსაზღვრულია ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და მისი გავლენების მიმართ არსებული შვიდი მთავარი საფრთხე. ესენია:

1. დასავლური კონსტიტუციური დემოკრატია: დღეს არსებული, ჩინეთისათვის დამახასიათებელი სოციალისტური მმართველობის წყობის დანგრევის მცდელობა.
2. „საყოველთაო/უნივერსალური ფასეულობების" მხარდაჭერა: კომუნისტური პარტიის მმართველობის ფუნდამენტური პრინციპების შესუსტების მცდელობა.
3. სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა: მმართველი პარტიის სოციალური საფუძვლის დანგრევის მცდელობა.
4. ნეოლიბერალიზმის მხარდაჭერა: ჩინეთის ძირითადი ეკონომიკური სისტემის შეცვლის მცდელობა.
5. ჟურნალისტიკის დასავლური იდეის მხარდაჭერა: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრინციპების, მედია და გამომცემლობა პარტიული დისციპლინის სამსახურში, შერყევის მცდელობა.
6. ისტორიული ნიჰილიზმის პროპაგანდა: ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და ახალი ჩინეთის ისტორიის დანგრევის მცდელობა.
7. რეფორმისა და სოციალიზმის სოციალისტური ბუნების ჩინეთისთვის დამახასიათებელი მმართველობის ელემენტების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება.

გზავნილი ხმამაღალი და მკაფიო იყო. კიდევ უფრო მკაფიო იყო დოკუმენტის მეორე ნაწილი, რომელიც იდეოლოგიური სფეროს (Ideological Sphere) მუშაობას შეეხებოდა და სადაც ჩამოთვლილია ამ პრობლემების გადაჭრისთვის მისაღები ოთხი აუცილებელი ზომა. ესენია:

✓ მმართველობის როლის გაძლიერება იდეოლოგიურ სფეროში.

- ✓ არტიის წევრებისა და ლიდერებისათვის მითითებების მიცემა, რათა შეძლონ ჭეშმარიტი და ყალბი თეორიების გარჩევა - „ჩვენ არ უნდა დავუშვათ, იმ მოსაზრების გავრცელება, რომლებიც ეწინააღმდეგებიან პარტიის თეორიას ან მის პოლიტიკურ კურსს“. ასევე, იმ შეხედულებების გასაჯაროება, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიან ცენტრალური მმართველობის შეხედულებების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან, ისევე როგორც, პოლიტიკური ჭორების გავრცელება, რომლებიც ანგრევენ წარმოდგენებს პარტიასა და ერზე.
- ✓ პარტიის მიერ მედიაკონტროლის განხორციელების პრინციპის უპირობო ერთგულება - „ჩვენ, უნდა გავაძლიეროთ, მედიის მარქსისტული პერსპექტივის როლი განათლებაში, რათა დავრწმუნდეთ, რომ მედიის ხელმძღვანელობა ყოველთვის მკაცრად კონტროლირებადია იმ პირთა მიერ, რომლებიც იზიარებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სი ძინპინის იდეოლოგიას.“
- ✓ იდეოლოგიური ბრძოლის ველის ფუნდამენტური და განგრძობითი ორგანიზება - კულტურულ ფრონტზე უნდა გავაძლიეროთ ჩვენი პროპაგანდის ყველა დონისა და ტიპის მენეჯმენტი. დავხვეწოთ და გავმართოთ მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სისტემები და ყველა გზა მოვუჭრათ არასწორი შეხედულებების გავრცელების შესაძლებლობას... განვამტკიცოთ საზოგადოებრივი აზრის კონტროლი ინტერნეტში, აღვკვეთოთ აზრის გამოხატვის თავისუფლება. გავაუმჯობესოთ და განვავითაროთ ჩვენი მენეჯმენტის სტრატეგიები და მეთოდები, რათა მივაღწიოთ დასახულ მიზნებს სამართლებრივი და სამეცნიერო, ეფექტური გზებით.

2013 წლიდან მოყოლებული, ზემოთ ჩამოთვლილი ზომები მრავალჯერ განხორციელდა და მსოფლიო მრავალგზის გახდა ადამიანის უფლებათა დარღვევის მასშტაბური ტალღების, რელიგიურ ჯგუფებსა და მედიაზე განხორციელებული დევნა-შევიწროების, უფლებადამცველებისა და სამოქალაქო აქტივისტების, ასევე მათი ადვოკატების დაპატიმრებების, მილიონზე მეტი მუსლიმის დაკავებისა და სხვა მოვლენების მომსწრე. პარალელურად, ჩვენ ვაკვირდებით ჩინეთის ქმედებებს, რომლებიც მიმართულია აზიაში დომინირებისა და მისი ეკონომიკური გავლენების მსოფლიოს მასშტაბით გავრცელებისკენ, ინიციატივის - „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ (BRI) და სხვა მსგავსი გლობალური პროექტების მეშვეობით. საგარეო ურთიერთობების საბჭოს მკვლევარი ქალბატონი ელიზაბეტ ეკონომი აცხადებს, რომ:,,სი ძინპინმა ნათლად გვითხრა, რომ მისი ამბიციები არ შემოიფარგლება მხოლოდ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონით... ის ცდილობს გლობალური ჩინეთის ინტერესებზე მორგებას.”

დავუბრუნდეთ კვლავ, დოკუმენტ #9-ს. ჩინელ ექსპერტთა უმრავლესობის განცხადებით, აღნიშნულმა დოკუმენტმა ნათელი მოჰფინა ზემოხსენებული შვიდი საკითხის გარშემო პოლიტიკის ფორმირებას, მიანიჭა რა მათ ჩინეთის კომუნისტური პარტიის მთავარი საფრთხეების სტატუსი და შესაბამისად, აკრძალა მათი სწავლება ჩინეთის უნივერსიტეტებში. თამამად უნდა ითქვას, რომ დოკუმენტში წარმოდგენილი იდეოლოგიური ბრძოლის ველი, სრულად აისახება აკადემიურ სფეროში სტატუსით - აკრძალულია.

„ვართ კი ჩვენ ისევ უნივერსიტეტი, იმ პირობებში, როდესაც არ გვაქვს უფლება ვისაუბროთ სამოქალაქო უფლებებსა და პრესის თავისუფლებაზე?“ - კითხულობს შანხაიში მყოფი სამართლის პროფესორი თავის ერთ-ერთ ინტერვიუში, ისევე როგორც ბევრი სხვა განსხვავებული აზრის მქონე ჩინეთის აკადემიური წრეების წარმომადგენლები, რომლებიც დევნა-შევიწროების შიშის გამო ანონიმურად დარჩენას ამჯობინებენ.

ჩვენი კვლევის ამოცანაა, სწორედ აღნიშნული პირობების და ჩინეთის კომუნისტური პარტიის სტრატეგიის გათვალისწინებით განვიხილოთ ჩინეთის ყოველწლიურად მზარდი ინტერესი საქართველოში. რომელიც ბუნებრივია ვრცელდება საგანმანათლებლო პროგრამებზეც და ასევე მზარდ თანამშრომლობაზე აკადემიურ სფეროში.

- სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამები,
- უნივერსიტეტების კერძო ინიციატივები,
- კვლევითი და სამეცნიერო ფონდები,
- არაერთი კონფუცის ინსტიტუტი და საგანმანათლებლო ცენტრი,
- ენის შემსწავლელი კლასები, მათ შორის დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის, მთელი ქვეყნის მასშტაბით,
- მედიასაშუალებების მხარდაჭერა,
- სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივების მხარდაჭერა და სხვა.

ბუნებრივად იბადება კითხვა - რატომ? რა იწვევს ასეთ დიდ და ფართოსპექტრიან ინტერესს? რატომ არის ჩინეთი ასეთი ინტენსივობით ჩართული ისეთი პატარა სახელმწიფოს საქმიანობაში, როგორიც საქართველოა? რატომ უნდა დახარჯო ამდენი რესურსი და კაპიტალი მცირე ეკონომიკაზე, რომელიც შენი საზღვრებიდან საკმაოდ შორს მდებარეობს?

საზოგადოების ნაწილი ბუნებრივია, მადლიერი იქნება იმის უკითხავად და გარკვევის მცდელობის გარეშე თუ როგორია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კომუნისტური პარტიის რეალური პოლიტიკური გეგმები და ამოცანები. მიუკერძოებელი მოქალაქე აუცილებლად გვეტყვის, რომ დამოკიდებულება ზუსტად ისეთივეა, როგორც მსგავსი თანამშრომლობისა და დახმარების შემთხვევებში აშშ-ს ან ევროკავშირის ქვეყნების მხრიდან. თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცენზურის ქვეშ მყოფი და ერთპარტიული მმართველობის სახელმწიფოს საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებსაც აკადემიური თავისუფლება მცირე დოზით აქვთ ან საერთოდ არ გააჩნიათ, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური გავლენების მსხვერპლნი ხდებიან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის 70 წლიანი მმართველობიდან თუ რამე ვისწავლეთ, ალბათ სწორედ ის არის, რომ პარტიის სათავეში მყოფი პირები და სახელმწიფო უწყებები, მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, ხოლო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რელიგიური ჯგუფები, უნივერსიტე-

ტები და კვლევითი ინსტიტუტები, შეთანხმებულად მუშაობენ ერთი, საერთო მიზნის მისაღწევად - გააძლიერონ და გააფართოვონ კომუნისტური პარტიის პოლიტიკისა და იდეოლოგიის გავლენა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ჩინეთის შემთხვევაში, ისინი ყველანი გაერთიანებული ფრონტით იბრძვიან, კომუნისტური პარტიის სიძლიერისთვის ყველა სფეროში საერთო პოლიტიკისა და იდეოლოგიის დამყარება-განმტკიცებისთვის. გაერთიანებული ფრონტის ოპერაციებს, როგორც ამას თავად სახელწოდება მიანიშნებს, ყოვლისმომცველი, მაგრამ ამასთან ფარული ბუნება აქვს. მაო ძედუნი მათ ჩინეთის „მაგიურ იარაღს" უწოდებდა, რადგან „ის ზიანს გვაყენებს, თუნცა ჩვენგან შეუმჩნევლი რჩება."

კომუნიზმის მაოსეული ხედვა საკმაოდ მარტივი იყო:

> " თითოეულ ამხანაგს უნდა დავეხმაროთ იმის გაგებაში, რომ სანამ გვექნება ხალხის იმედი, მტკიცედ ვიწამებთ მასების შემოქმედებით ძალას, ვენდობით და საკუთარ თავს გავაიგივებთ მათთან, შევძლებთ ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვას და ვერანაირი მტერი ვერ მოგვერევა. პირიქით, ჩვენ შევძლებთ ნებისმიერი მტრის დამარცხებას."

მაოს მიერ დანახული მტრის დამარცხება ნიშნავს მის სრულ განადგურებას, მისი იდეოლოგიის, ფასეულობების, თავისუფლებისა და ინსტიტუციური სისტემის ჩათვლით. როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, გასაკვირი არაა, რომ კარგად ჩამოყალიბებული და გაწერილი პარტიული დოკუმენტი, სწორედ ამას მოითხოვს. შესაბამისად, გარემოებებიდან გამომდინარე, კომპარტიის გამანადგურებელი „ნამგალი" სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი. ერთ-ერთ ასეთ „ნამგალს" ზუსტად კონფუცის ინსტიტუტი წარმოადგენს, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად ფარული და შენიღბული იდეოლოგიური ოპერაციებით მოქმედებს. კონფუცის ინსტიტუტების ამგვარი ხასიათი გახდა სწორედ დასავლურ აკადემიურ წრეებში მძლავრი წინააღმდეგობის მოძრაობის წარმოშობის მიზეზი, რომელიც კომუნისტური პარტიის იდეოლოგიურ იარაღად ჩამოყალიბებული, კონფუცის ინსტიტუტების დახურვას მოითხოვს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ადამიანების ერთი ნაწილი, ხშირად გულუბრყვილო კითხვებს სვამს, იმასთან დაკავშირებით, თუ რა განსხვავებაა აშშ-ს ან ევროკავშირის აკადემიურ პროგრამებსა და ჩინეთის მიერ შემოთავაზებულ აკადემიურ პროგრამებს შორის. რამდენად მარტივადაც არ უნდა ჟღერდეს პასუხი, ვფიქრობთ მაინც საჭიროებს განმარტებას. პირველი მათგანი სტუდენტებს იწვევს თავისუფალ, დემოკრატიულ სახელმწიფოში, სთავაზობს შეუზღუდავ, არაკონტროლირებად სასწავლო გარემოს, რომელიც თავისუფალია რომელიმე პოლიტიკური პარტიის ჩარევებისა და გავლენებისაგან, არის სრულიად გამჭვირვალე, ღიაა კრიტიკული და განსხვავებული აზრის მისაღებად. მეორე კი მართულია კომუნისტური პარტიის სხვადასხვა დანაყოფების მიერ, მკაცრად სტრუქტურირებულია და იდეოლოგიურ ცენზურას ექვემდებარება. ამგვარი პირობებით მოქმედი განათლების სისტემა ფილოსოფიურად გამორიცხავს აკადემიური თავისუფლების უზენაესობის იმ სტანდარტს, რომელსაც თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა უნდა ემყარებოდეს.

კითხვაზე „რატომ საქართველო“ პასუხის გაცემისას, რამდენიმე განმარტების მოხმობა შეიძლება, თუმცა დასაწყისისთვის, ყველაზე აშკარა და მარტივი ორი მიზეზით შემოვიფარგლოთ: საქართველოს სტრატეგიული გეოგრაფია ინიციატივისთვის „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ და სტრატეგიული თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. დარწმუნებული ვართ, რომ სწორედ ამ ორი ელემენტის გამო გახდა საქართველო ჩინეთის განსაკუთრებული ინტერესის ობიექტი.

რანდ კორპორაციის (Rand) განმარტებით გავლენის ოპერაციები წარმოადგენს ,,კონკურენტულ უპირატესობას მოწინააღმდეგეზე" და სწორედ ეს არის ის, რის გაკეთებასაც ჩინეთი ცდილობს მასიური და ძვირადღირებული პროგრამების მეშვეობით საქართველოში. მისი ამოცანაა, რაც შეიძლება მოკლე დროში, რაც შეიძლება მეტი ქართველის ჩართვა მოახერხოს.

აშშ-ს ორ ათეულ წელზე მეტი უპირატესობა აქვს ჩინეთთან შედარებით საქართველოში, თუმცა ჩინეთი ცდილობს ეს სხვაობა აანაზღაუროს თავისი საგანმანათლებლო პროგრამების მასშტაბურობით. სხვადასხვა სტიპენდიების პროგრამები, რომელიც დაწყვილებულია ძვირადღირებულ და მასშტაბურ საინფორმაციო კამპანიასთან სასურველი შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს ზრდის.

წინამდებარე ანგარიშში მოყვანილმა ზოგიერთმა მოსაზრებამ, საქართველოში ჩინეთის გავლენის ოპერაციების შესახებ, შესაძლოა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიოს, თუმცა ერთი რამ სრულიად ნათელია, რომ გავლენის ოპერაციები მუშაობს, ისე როგორც ძველი სიბრძნე გვასწავლის:

> ❞ თუ საკმარისად დიდხანს მოიცდი მდინარის პირას, ის შენი მტრის ცხედარს აუცილებლად ჩამოატარებს.“

# გავლენის ოპერაციები აკადემიურ წრეებში მსოფლიოს მასშტაბით

2019 წლის ნოემბერში, ევროპულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პრაღის „კარლის უნივერსიტეტი“ გაეხვა სკანდალში „ჩინეთის მხრიდან მისი ფაკულტეტის ოთხი წევრისადმი განხორციელებული ფარული ფულადი გადარიცხვების გამო, რაც იმის მანიშნებელია, რომ პეკინს შეუძლია ზოგიერთ ჩეხ პოლიტიკოსთან არსებული კავშირები გამოიყენოს აკადემიურ სფეროში გავლენების დასამყარებლად.“ ფაქტების გამოაშკარავების შემდეგ უნივერსიტეტმა დაითხოვა ამ ამბავთან ასოცირებული ყველა პირი და მასთან აფილირებული ყველა ცენტრისა და ინსტიტუტის საქმიანობის დეტალური შესწავლა დაიწყო.

კარლის უნივერსიტეტის სკანდალიდან რამოდენიმე თვის შემდეგ, ევროპის კიდევ ერთი ქვეყანის უნივერსიტეტი გაეხვა სკანდალში. ამჯერად ეს ესტონეთი იყო.

2020 წლის თებერვალში ესტონურმა გაზეთმა Eesti Ekspress გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აცხადებდა, რომ ტარტუს უნივერსიტეტმა ერთ-ერთ ჟურნალისტს აუკრძალა სტატიის გამოქვეყნება Huawei-ს შესახებ. ახალი ამბების გამოქვეყნებას საფუძვლად დაედო ტარტუს უნივერისტეტსა და Huawei Technologies-ის შორის საერთო მიზნების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება.

,,გამოვლენილი ფაქტების გათვალისწინებით, ვხედავთ, რამდენად დაუცველნი არიან უნივერსიტეტები უცხოური გავლენებისაგან. მიგვაჩნია, რომ რისკი აშკარაა და საკმაოდ მაღალი," - განაცხადა იაკობ რიმანმა, კარლის უნივერსიტეტის ფაკულტეტის წარმომადგენელმა Financial Times-თან ინტერვიუში. თუმცა ეს ორი შემთხვევა ზღვაში წვეთია, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპისა და მსოფლიოს ბევრ სხვა სახელმწიფოში არსებულ პრობლემებთან შედარებით.

დღესდღეობით, ჩვენი დაკვირვებით, რუსულის დარად, ჩინეთის ბასრი ძალაც ყველა ქვეყანაში საკუთარი სპეციფიკური ნარატივითა და ამ ქვეყნისთვის მორგებული, ადაპტირებული სცენარებით იმკვიდრებს თავს.

- პირველ ეტაპზე, სასურველ რეგიონში, ტერიტორიაზე ან სახელმწიფოში, ჩინეთი შედის ინვესტირების დაპირებით. ამ დაპირებებს ზოგჯერ თანხები და ბიზნეს პროექტებიც კი მოყვება ხოლმე, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურაში;

- მეორე ფაზაში, ისინი ცდილობენ დაადასტურონ და ოფიციალური, ასევე ხანგრძლივი, სახე მისცენ თავიანთ გეგმებსა და ინტერესებს. შესაბამისად, ფორმდება ურთიერთგაგების მემორანდუმები, ყალიბდება ბიზნეს საბჭოები, მეგობრობის ჯგუფები და ფორუმები, იქმნება საპარლამენტო თანამშრომლობისა და სხვა მრავალფეროვანი ოფიციალური სტრუქტურები, რათა დღის წესრიგში შეინარჩუნონ და მუდმივად მედიის ყურადღების ცენტრში ამყოფონ წარმატებული თანამშრომლობის მაგალითები.

- საბოლოოდ, მესამე ფაზაში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბიზნესი და პოლიტიკური ინსტიტუტები იზიარებენ ჩინეთის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიას და ექცევიან მისი ზეგავლენის ქვეშ. კულტურული და საგანმანათლებლო დიპლომატიის ბოლო ნაბიჯია, როდესაც ხდება ჩინური ენისა და კულტურის სწავლების წახალისება, სრული იდეოლოგიური მხარდაჭერისათვის იხსნება კონფუცის ინსტიტუტები, ჩინეთში სასწავლებლად სტუდენტებს სთავაზობენ სპეციალურ სტიპენდიებს კომუნისტური პარტიის ცენზურაგავლილ აკადემიურ ინსტიტუტებში და სხვა.

სტატიაში „ევროპის უნივერსიტეტებში ჩინეთის გავლენის კამპანიის წინააღმდეგ," ივანა კარასკოვა ზემოხსენებულ შემთხვევას ადარებს რუსული რბილი ძალის გამოძახილებს და ირწმუნება, რომ ორივე მათგანის პოლიტიკა მსგავსია, მათთან ასოცირებული მაღალი რისკებიდან გამომდინარე:

> „ზოგადად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წევრი სახელმწიფოები დაუცველნი არიან, ვინაიდან, ფინანსურ შეზღუდვებს მათი წამყვანი უნივერსიტეტებიც განიცდიან... ჩინეთთან კულტურული და აკადემიური თანამშრომლობის შენარჩუნებისა და განვითარების მიმართ მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, ევროპულმა უნივერსიტეტებმა, ზოგიერთ ჩინურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობამდე, შესაბამისი კომპანიის კეთილსინდისიერების კვლევა უნდა განახორციელონ პრეტენდენტის წინასწარი და სრულფასოვანი შესწავლის გზით. მაგალითად, კონფუცის ინსტიტუტები ნაკლები რისკის მატარებელია, რადგან იქ ჩინურ ენისა და კულტურის სწავლება მიმდინარეობს, თუმცა ისინი არ უნდა იქცეს მოქნილ დისტანციურ და არაპირდაპირ იარაღად, ჩინეთის პოლიტიკის, იდეოლოგიისა და მსგავსი თემატიკის სწავლებისთვის."

წლების წინ დასავლურ უნივერსიტეტებში დაიწყო ჩინური ენის საერთაშორისო საბჭოებისა (Hanban) და კონფუცის ინსტიტუტების (CIs) მასიური გავრცელება. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ დაარსა 516 კონფუცის ინსტიტუტი მსოფლიოს 142 ქვეყანაში. ამგვარი მასობრივი აქცია, გლობალურად, უნივერსიტეტების კამპუსში ჩინეთის პოლიტიკური დღის წესრიგის შეტანით იყო გამოწვეული, რამაც დროის სულ მოკლე მონაკვეთში კონფუცის ინსტიტუტების მიმართ მწვავე პროტესტი გამოიწვია. შესაბამისად, დემოკრატიულ სახელმწიფოებში არსებული აკადემიური თავისუფლებისა და კონფუცის ინსტიტუტების მიერ გავრცელებულ ნარატივს შორის დაპირისპირების მომსწრენი გავხდით. 2015 წელს, უნივერსიტეტების თანამშრომლებისა და საზოგადოებისგან წამოსული კრიტიკის საფუძველზე, დაიხურა ევროპის პირველი კონფუცის ინსტიტუტი, რომელიც 2005 წელს სტოკჰოლმის უნივერსიტეტში დაარსდა, რასაც მოჰყვა შვედეთში ყველა მსგავსი დაწესებულების და ორ სახელმწიფოს შორის არსებული გაცვლითი პროგრამების დახურვა.

წარმოგიდგენთ, ევროპარლამენტის კვლევითი სამსახურის მიერ, 2018 წლის ივლისში, გამოქვეყნებული - ,,უცხოური გავლენის ოპერაციები ევროკავშირში“, ბრიფინგიდან ამონარიდებს.

- ✓ ხელსაყრელ აკადემიურ გარემოში, ჩინური ენის საერთაშორისო საბჭოს (Hanban) ოფისი, როგორც წესი, აფინანსებს კონფუცის ინსტიტუტებს, რაც გამოიხატება მასწავლებლებისა და საჭირო მასალების მობილიზებაში, ხოლო ადგილობრივი უნივერსიტეტები, თავის მხრივ, უზრუნველყოფენ ინფრასტრუქტურის, ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის ნაწილს.

- ✓ კონფუცის ინსტიტუტები ხელს უწყობენ ჩინური ენისა და კულტურის გავრცელებას ოფიციალური ჩინეთის ნარატივით ტიბეტისა და ტაივანის შესახებ, რაც ხშირად წინააღმდეგობაში მოდის მასპინძელი ინსტიტუტების აკადემიურ კვლევებთან. კრიტიკოსების ნაწილი ამტკიცებს, რომ კონფუცის ინსტიტუტების მიზანია, გაავრცელონ განვითარების „ჩინური მოდელის“ სასურველი ვერსია, ჩაახშონ დისკუსიები ჩინეთში ცენზურადადებულ საკითხებზე, მაგალითად ტიანანმენის სასაკლაოს შესახებ, და „დააკორექტირონ“ მოსაზრებები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თაობაზე, როგორც ხისტი-ავტორიტარული სახელმწიფოს შესახებ, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს.

როგორც ზემოთ განვიხილეთ, პრობლემა არ შემოიფარგლება ევროკავშირით. კანადა, ამერიკის შეერთებული შტატები, ავსტრალია, ახალი ზელანდია და იაპონია იმ სახელმწიფოთა შორის არიან, რომლებიც სტაბილურად და მზარდად „აკრიტიკებენ ჩინეთის გავლენის ოპერაციებს.“

2013 წელს, კანადის უნივერსიტეტის მასწავლებელთა ასოციაციამ აიძულა კანადური უნივერსიტეტები და კოლეჯები, რომ დაეხურათ მათ ბაზაზე არსებული კონფუცის ინსტიტუტები.

2014 წელს, ამერიკის უნივერსიტეტის პროფესორების ასოციაციამ, იგივე რეკომენდაციები გასცა ამერიკული უნივერსიტეტებისთვის.

2017 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების მკვლევარების ეროვნულმა ასოციაციამ, აიძულა ყველა უნივერსიტეტი, დაეხურათ მათ ბაზაზე არსებული კონფუცის ინსტიტუტები.

2018 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლებმა ინიცირება გაუკეთეს კანონპროექტს, ჩინეთის მთავრობის და კომუნისტური პარტიის, პოლიტიკური გავლენის ოპერაციებისათვის წინააღმდეგობის გაწევის შესახებ. კანონპროექტის მიხედვით კონფუცის ინსტიტუტებს მოეთხოვათ რეგისტრაცია გაევლოთ, როგორც უცხო ქვეყნის აგენტებს.

თუ ცოტახნით გავცდებით უნივერსიტეტების სპეციფიკურ საკითხს და უფრო ფართო პერსპექტივით შევხედავთ ვითარებას, აუცილებლად აღმოვაჩენთ, რომ 2018 წლისთვის ბევრი დასავლური დემოკრატიული სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახური ხმას იმაღლებდა ჩინეთის გავლენის ოპერაციებსა და მის შედეგებზე საკუთარ საზოგადოებებში. მაგალითისთვის, კანადის უსაფრთხოების სადაზვერვო სამსახურის მოხსენების მიხედვით, „ავსტრალია, იაპონია, ახალი ზელანდია და ამერიკის შეერთებული შტატები ეძებენ უფრო მჭიდრო პარტნიორს ჩინეთის გავლენის დასამარცხებლად, ვინაიდან ეს ქვეყნები აშკარად უფრო მეტად გამოხატავენ შეშფოთებას ზემოხსენებულ გამოწვევებზე, ვიდრე ევროკავშირი." კანადის უსაფრთხოების სადაზვერვო სამსახურის ანგარიში არ არის ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც განიხილავს ამ საკითხს და ხაზს უსვამს თანამშრომლობის, ინფორმაციის მიმოცვლის, გამოცდილების გაზიარებისა და მტკიცე მედეგობის სტრატეგიის შემუშავების მნიშვნელობას.

> ” აკადემიურ სფეროში და უნივერსიტეტის დონეზე, ჩინეთის ბასრ ძალასთან დაკავშირებით, სხვადასხვა დემოკრატიული სახელმწიფოს გამოცდილების ანალიზი, მრავალფეროვანი წყაროების მიმოხილვა და კვალიფიციური მასალების გაცნობა, აუცილებლად დაგვაფიქრებს იმის შესახებ, თუ რა ელის მომავალში ჩვენს ქვეყანას, საქართველოს, სადაც
> აკადემიური თავისუფლება მყიფეა,
> უნივერსიტეტის ბიუჯეტი - მწირი,
> კვლევითი ბიუჯეტი თითქმის არ არსებობს,
> ხოლო ჩინეთის გავლენის ზრდა, როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიკურად,
> ასეთი თვალშისაცემი არასდროს ყოფილა.

# გავლენის ოპერაციები საქართველოს აკადემიურ სექტორში

როგორც წინა თავში ვიხილეთ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისთვის აკადემითან თანამშრომლობის ინტერესები პირველხარისხოვანია. თუმცა,

> "სხვა ქვეყნების კანონები და შეთანხმებები დაცულია იქამდე, სანამ ისინი წინააღმდეგობაში არ მოდიან ჩინეთის ინტერესებთან. წინააღმდეგობის შემთხვევაში, მათი უგულებელყოფა არათუ შეიძლება, არამედ აუცილებელი, ჩინეთის სახელმწიფოს წესების აღსასრულებლად კი ყველანაირი საშუალება იქნება გამოყენებული", -

ციტატა მარტ ლაანემეტს ეკუთვნის, ესტონეთის საგარეო პოლიტიკის ინსტიტუტიდან და იგი, 2020 წლის აპრილში გამოქვეყნებულ დასკვნაში - ,,აკადემიური თანამშრომლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან: საფრთხეები და ცდუნებები" გვხვდება.

ამ მხრივ, არც საქართველოს შემთხვევაა გამონაკლისი, თუმცა ის განსხვავებულია, იმდენად რამდენაც მას თითქმის არავის იკვლევს, აკვირდება ან სწავლობს. ჩვენი ანგარიში არის პირველი მცდელობა, გადაწყვეტილებების მიმღებთ მივუთითოთ კონკრეტული პრობლემებისკენ, დავანახოთ შედარებით კონტექსტში და შევთავაზოთ ალტერნატივები. წინამდებარე თავში განვიხილავთ სხვადასხვა სინო-ქართულ აკადემიურ პროგრამებს, ასევე ორი ქვეყნის საგანმანათლებლო თანამშრომლობის პოლიტიკას, იმისათვის რომ წარმოვაჩინოთ, რამდენად აქტიურადაა ჩინეთის ხელისუფლება ჩართული საქართველოს აკადემიურ სფეროში, როგორც ოფიციალურ პოლიტიკურ-დიპლომატიურ, ასევე საუნივერსიტეტო და კერძო არხებით. ზემოთ განხილული ჩინეთის სამფაზიანი რბილი ძალის ოპერაციის მიხედვით, საქართველო აშკარად მესამე ეტაპზეა, როდესაც ჩინეთის კომუნისტური პარტიის სრულმასშტაბიანი იდეოლოგიური ოპერაცია მიმდინარეობს სხვადასხვა საოპერაციო ცენტრებით, კვლევებისა და სტუდენტებისთვის მრავლობითი სტიპენდიების დაფინანსებით, სპონსორობით და სხვა.

როგორც ჩინეთის უნივერსიტეტების ქართველი კურსდამთავრებულების მიერ დაარსებულ და მართულ სპეციალურ ვებ-გვერდებზე სინოლოგია და sinomedia.ge ვკითხულობთ. ჩინეთის საგანმანათლებლო საქმიანობა საქართველოში საკმაოდ მრავალფეროვანია, ისინი სიამაყით აცხადებენ, რომ ,,როგორც ჩინურის სწავლის, ისე ჩინეთში სწავლისადმი ინტერესის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნება. ჩინეთის მთავრობა და კონფუცის ინსტიტუტი კი საქართველოს მოქალაქეებს აძლევენ ჩინეთში სწავლის შესაძლებლობას".

ყველა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამა ფოკუსირებულია ქვეყნის, მისი ენის, კულტურის, წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამი-

ნისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, საგანმანათლებლო თანამშრომლობის დაწყებასთან დაკავშირებით, ითვალისწინებს ყოველწლიურად 20 ახალგაზრდის სტიპენდიას ჩინეთში განათლების მისაღებად. სტიპენდიანტები, შესაძლებელია იყვნენ როგორც საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუნდენტები, ასევე სხვადასხვა სამეცნიერო დარგის მკვლევარები. ამასთან, ახალგაზრდა სტიპენდიანტები ვალდებულნი არიან, ძირითადი სასწავლო პროგრამის დაწყებამდე წინასწარ განსაზღვრული და შემოთავაზებული უნივერსიტეტებიდან რომელიმეში, გაიარონ ერთწლიანი ჩინური ენის შემსწავლელი კურსი.კონკურსი სტიპენდიაზე, სწავლის საფასურის დაფინანსებაზე, მოგზაურობასა და სრულ კომპლექტზე ჩინეთში სასწავლებლად, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ, ზამთარსა და ზაფხულში ცხადდება და ყველა დაინტერესებულ პირს ეძლევა საშუალება, ისარგებლოს ჩინეთის მთავრობის მიერ საერთაშორისო სტუდენტებისთვის გამოყოფილი პროგრამების ბენეფიტებით.

კონკრეტული სტიპენდიების შესახებ სრული ინფორმაცია განთავსებულია მსოფლიო სტიპენდიის ფორუმის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ვებ-გვერდზე ხაზგასმულია, რომ ეს სტიპენდიები დიდი მოცულობისაა და ფარავს სწავლის საფასურს, საცხოვრებელ და საარსებო ხარჯებს, მგზავრობის საფასურს. ინტერნეტში იძებნება უამრავი ინტერვიუ ქართველი სტუდენტების აღფრთოვანებული გამოხმაურებებით ჩინეთში სწავლებისა და სტიპენდიების შესახებ.

მეტი სიცხადისთვის, თანამშრომლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფო სტიპენდიებით. ეს უკანასკნელი, წარმოადგენს არსებული შესაძლებლობების მხოლოდ მცირე ნაწილს, რომლის მეშვეობითაც ქართველებს შეუძლიათ სასწავლო მიზნებით იმოგზაურონ ჩინეთში. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ოფიციალური შეთანხმებების ერთადერთი მიზანი მრავალი სხვა მსგავსი ინიციატივის წამოწყებისათვის ნიადაგის მომზადება და გზის გახსნაა. შესაბამისად, ჩვენი კვლევის დროს გავეცანით უამრავ კერძო ინიციატივას, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ პოზიტიური განწყობის ამაღლების სტრატეგიაში და გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ აზრზე, სინო-ქართული კავშირების კიდევ უფრო გასამყარებლად.

ამ ,,კერძო" ინიციატივებს შორისაა კონფუცის ინსტიტუტების საგანმანათლებლო პროგრამები. ქართველი სტუდენტების თქმით, რომლებმაც უკვე ისარგებლეს ამ პროგრამით, ჩვეულებრივ, კონფუცის ინსტიტუტის სტუდენტური გრანტები ერთწლიანი ენის პროგრამებისთვისაა განკუთვნილი და ფარავს სწავლის, ცხოვრების და მოგზაურობის ყველა ხარჯს, ასევე ითვალისწინებს ყოველთვიურ სტიპენდიას. „სრული დაფინანსება მაქვს, რაც მოიცავს უნივერსიტეტისა და  საცხოვრებლის ხარჯებს, ასევე სტიპენდიას. ეს თანხა საკმარისზე მეტიცაა საკვებისა და სხვა ხარჯებისათვის, ... შესაბამისად ეს თანხა არდადეგებზე მოგზაურობისთვისაც შეიძლება გამოიყენო", აღნიშნავს ერთ-ერთ ინტერვიუში ჩინეთში სასწავლებლად მყოფი ქართველი სტუდენტი.

ქართველი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კიდევ ერთი ინიციატივა იუნესკო/ /ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთობლივი პროგრამა „დიდი კედელი“, რომელიც ასევე ითვალისწინებს ენის შემსწავლელ ერთწლიან სასწავლო კურსს.

კიდევ ერთი ინიციატივა ეკუთვნის უნივერსიტეტების კონსორციუმს, სახელწოდებით "საქართველოსა და ჩინეთის ვარსკვლავი", რომელიც შეიქმნა ჩეხეთის, მასარიკის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით. კონსორციუმი ,,საქართველოსა და ჩინეთის ვარსკვლავი" პასუხისმგებელია ქართველ სტუდენტებს შორის ჩინეთსა და ჩინეთის უნივერსიტეტებში განათლების პოპულარიზაციაზე.

პარტნიორი უნივერსიტეტების რიცხვში საქართველოდან შედიან საქართველოს უნი-ვერსიტეტი და საბაუნი, ასევე რამდენიმე რეგიონალური სკოლა და უნივერსიტეტი, რაც შეეხება ჩინურ მხარეს, ესენია Shenzhen Polytechnic, Liaoning of Science and Engineering,Chongqing Normal University, Shanghai Polytechnic University და Lingnan Normal University. პროექტს ,,საქართველოსა და ჩინეთის ვარსკვლავი" აქვს მრავალი მიმარ-თულება და სტუდენტებსა და პროფესორებს იზიდავს არა მხოლოდ ჩინეთში სწავლის შესაძლებლობით, არამედ ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებშიც. მაგალითად, სამი წლის განმავლობაში (2016-2019 წწ.), გაცვლითი პროგრამა მიმდინარეობდა საბაუნის და კოიმბრას უნივერსიტეტს (პორტუგალია) შორის, იგივე შესაძლებლობა იყო თავად მასარიკის უნივერსიტეტთან ჩეხეთის ქალაქ ბრნოში, ასევე Professionshøjskolen UCC–სთან დანიაში და სხვა.

MASARYK UNIVERSITY ქართული 中文

STAR for Georgia and China

About project ⌄ Partners ⌄ Contact Outcomes ⌄ Conferences Project's Meetings ⌄ Online Platform

› Partners

# Partners

## Consorcium partners

The consortium includes **12 partners** from **6 countries** which participate in the Erasmus+ Programme including Partner Country institutions representing main and other cities both with and without Erasmus+ KA2 experience

Partners meeting

Partners meeting

The consortium includes 2 types of higher education institutions: **European HEIs** with solid experience in teacher training and teachers' continuous professional development; and **Georgian and Chinese HEIs** that are both in need of and eager to receive training on these matters.

The EU partners in the consortium are well known European Universities with relevant experience in the target field. Additionally, provided their existing international collaborations, they are already well-familiar with the education systems in the partner countries, and have established connections with some partner institutions as well, which helps to minimize introductory work in the beginning of the project.




## 12 partner institutions

- Chongqing Normal University
  China
- Liaoning Institute of Science and Engineering
  China
- Lingnan Normal University
  China
- Ltd Sulkhan – Saba Orbeliani Teaching University
  Georgia
- Masaryk University
  Czech Republic
- Professionshøjskolen UCC
  Denmark
- Shanghai Polytechnic University
  China
- Shenzhen Polytechnic
  China
- University of Coimbra
  Portugal
- University of Georgia
  Georgia
- University of Zugdidi
  Georgia
- University of Ruse
  Bulgaria

STAR Sustainable learner-centred Teaching - Advanced Recourse for Georgia and China

გარდა ამისა, რამდენიმე ქართული უნივერსიტეტი დამოუკიდებლად და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით, თანამშრომლობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვადასხვა ორგანიზაციასთან, თბილისის ღია უნივერსიტეტი ქმნის სამოტივაციო ვიდეოებს ჩინეთში გაცვლითი პროგრამების შესახებ, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა გახსნა ჩინური ენის კვლევითი ცენტრები და სხვა.




საქართველოში მოქმედებს ორი ოფიციალური კონფუცის ინსტიტუტი. პირველი გაიხსნა 2010 წელს, თავისუფალ უნივერსიტეტში, ხოლო მეორე 2017 წელს თბილისის ღია უნივერსიტეტში. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში იგი ოფიციალურად კონფუცის ინსტიტუტის სახელით არ ფუნქციონირებს, თუმცა ამ დაწესებულებებს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე 2017 წლიდან სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა უფასოდ გაიარონ ჩინური ენის კურსები. ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, თანამშრომლობის ხელშეკრულება კონფუცის ინსტიტუტთან არ შემოიფარგლება მხოლოდ ჩინური ენის შესწავლით და მოიცავს სხვა საგნების დაუფლების შესაძლებლობასაც. 2018 წელს კონფუცის ინსტიტუტმა ენის შემსწავლელი უფასო კურსები ჩინეთში უფასო სწავლის გაგრძელების შესაძლებლობით შესთავაზა თბილისის ყველაზე დიდ და პოპულარულ უნივერსიტეტს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. და ბოლოს, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან აფილირებული კიდევ ერთი ქართული უნივერსიტეტის შესახებ. წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი აცხადებს, რომ კონფუცის ინსტიტუტი მათ ბაზაზე 2015 წლიდან ფუნქციონირებს და ამ ხნის განმავლობაში ჩინეთის ელჩთან ერთად საქართველოში მათ მრავალჯერ უმასპინძლეს სხვადასხვა ცერემონიასა და ღონისძიებას.



კიდევ ერთი უნივერსიტეტია კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლა, რომელიც ასევე მონაწილეობს ჩინეთის სტიპენდიის პროგრამაში.

2019 წელს, საქართველოს განათლების სამინისტრომ და ჩინეთის საელჩომ ხელი მოაწერეს კიდევ ერთ შეთანხმებას საქართველოში ჩინეთის, ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციის შესახებ, რომლის ფარგლებში, ქართულ სკოლებში მე – 5 კლასიდან შემოღებულია უფასო ჩინური ენის გაკვეთილები, როგორც მეორე უცხო ენა, რომელიმე ერთ ევროპულ ენასთან ერთად. განათლების სამინისტრო გეგმავს ქართველი მასწავლებლების გადამზადებას, რათა მათ ჩინური ენის გაკვეთილები უფრო ეფექტურად წარმართონ.

„ თავისთავად საინტერესო ფაქტია, რომ დასავლეთის უნივერსიტეტებისგან განსხვავებით, სადაც კონფუცის ინსტიტუტები ან უკვე დახურულია ან დახურვის პროცესშია, წლიდან წლამდე ჩვენ სულ უფრო მეტი უნივერსიტეტის კარებს ვუღებთ კონფუცის ინსტიტუტებს, ისევე როგორც სხვა მსგავს ინიციატივებს.

გარდა ამისა, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტები, მაგალითად სტუ ჩინეთის სხვადასხვა უნივერსიტეტთან ინდივიდუალური თანამშრომლობის ბენეფიციარია. მათ შორისაა Beijing Institute of Technology (BIT) და Peking University. ისინი უზრუნველყოფენ სტიპენდიებს, რომლებიც მოიცავს სასწავლო, გაცვლითი და საზაფხულო პროგრამების სრულ ხარჯებს. აღსანიშნავია, რომ ორივე ხსენებული უნივერსიტეტი, მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი ორგანიზაციის ავსტრალიის სტრატეგიული პოლიტიკის ინსტიტუტის (ASPI) კიბერ პოლიტიკის საერთაშორისო ცენტრის ჩინეთის უნივერსიტეტების საძიებო სისტემაში შეყვანილია როგორც თავდაცვის სფეროს განკუთვნილი ცენტრი. კერძოდ, BIT წარმოადგენს სამხედრო კვლევების წამყვან ცენტრს, რომელიც იმ 14 ინსტიტუტს შორისაა, რომელთაც ჩინეთში დოქტორის ხარისხის გაცემის უფლება აქვთ. უმნიშვნელოვანესია აღინიშნოს რომ BIT წარმოადგენს ჩინეთის ეროვნული თავდაცვის შვიდეულიდან ('Seven Sons of National Defence') ერთ-ერთ საგანმანათლებლო ინსტიტუტს. იმავე ორგანიზაციის, ASPI-ის მონაცემთა ბაზის შესაბამისად, Beijing Institute of Technology წარმოაგენს ძალიან მაღალი რისკის მატარებელ დაწესებულებას უმაღლესი კატეგორიის საიდუმლო (top-secret security credentials) სტატუსით, თავდაცვის ლაბორატორიების და თავდაცვისა და შეიარაღების კვლევების დიდი რაოდენობის გამო."




თავდაცვის უნივერსიტეტების ნახსენები შვიდეულიდან ოთხი ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტმა, 2020 წლის 24 მაისს ამერიკის ეროვნული უსაფრთხოებისთვის მაღალი რისკის მატარებელი ორგანიზაციების სიაში შეიყვანა. მართალია BIT ამ სიაში ჯერჯერობით არ არის, თუმცა თავისთავად ეს ფაქტი ვფიქრობთ მრავლისმეტყველია. უფრო მეტიც, ამერიკაში, ისევე როგორც ავსტრალიასა და კანადაში, აქტიურად მიმდინარეობს დისკუსია ჩინეთის განმათავისუფლებელ არმიასთან (PLA) დაკავშირებული სტუნდენტებისთვის სასწავლო ვიზების გაცემაზე უარის თაობაზე. პრეზიდენტმა ტრამპმა 2020 წლის 29 მაისს ხელი მოაწერი ამგვარ აკრძალვას, იმ მოტივით რომ როგორც უკვე ითქვა PLA-სთან დაკავშირებულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა ეროვნული უსაფრთხოებისთვის მაღალი რისკის მატარებელია და ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების, განსაკუთრებით ტექნოლოგიების სფეროში, დაცვას.

„ მნიშვნელოვანია, გავიხსენოთ კვლევის დასაწყისში მოცემული საგანმანათლებლო სფეროს მკაცრი კონტროლისა და ცენზურის დირექტივები და სწორედ ამ კონტექსტში დავინახოთ ჩინეთის ნებისმიერ უნივერსიტეტთან, მაგრამ განსაკუთრებით თავდაცვის სექტორთან და სახალხო განმათავისუფლებელ არმიასთან დაკავშირებულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა.

ჩვენს შემთხვევაში, კონკრეტულად ამ ორი ინსტიტუტის Beijing Institute of Technology (BIT) და Peking University აქტიური ჩართულობა/მონაწილეობა აკადემიურ დონეზე, შესაძლოა საფრთხეს წარმოადგენდეს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია არსებობდეს შესაბამისი სამსახურების კვალიფიციური დასკვნები და არგუმენტირებული გადაწყვეტილებები რისკების თავიდან აცილების თაობაზე. ასეთი დოკუმენტების არსებობის შესახებ კი საქართველოში ინფორმაცია არ მოიპოვება.

ყოველწლიურად, ისინი უზრუნველყოფენ 3 სადოქტორო სტიპენდიას შემდეგი დარგებისთვის: ქიმიური ინჟინერია, ტექნოლოგიები, კომპიუტერული და ელექტრონული მეცნიერებები, ასევე 5 დამატებითი სტიპენდიას ნებისმიერი საფეხურის სტუდენტების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა ან დოქტორანტურა) არჩევით, ასევე რამდენიმე ერთ სემესტრიან ან საზაფხულო სასკოლო პროგრამას, ქიმიის, ქიმიური ინჟინერიისა და ტექნოლოგიების, კომპიუტერული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების, ელექტრონული მეცნიერების, და სხვა მიმართულებით.

აქვე, თვალსაჩინოა, რომ ჩინეთის და საქართველოს უნივერსიტეტები უზარმაზარ ნაბიჯებს დგამენ სტუდენტთა შორის გაცვლითი პროგრამების პოპულარიზაციის მიმართულებით, მათ შორის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროებში. თუ ათი წლის წინ, საუკეთესო ქართველი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი სასტიპენდიო პროგრამები, მათ ამერიკისა და ევროპის უნივერსიტეტებში აძლევდათ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, დღეს ეს დინამიკა იცვლება.

„ დასავლეთის უნივერსიტეტებში სტიპენდიების შემცირებისა და ჩინეთის მხრიდან ინტერესის ზრდის ფონზე, დღეიდან ათ წელში, ჩვენ მივიღებთ ქართველების ახალი თაობის შეცვლილ რეალობას, ჩინური უნივერსიტეტის დიპლომებით და მსოფლიოს იმგვარი ხედვით, როგორც ეს ჩინეთის კომუნისტური პარტიის გაერთიანებული ფრონტის შესაბამისი განყოფილებების კარგად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების პრიზმიდან ჩანს.

# ᲡᲘᲜᲝ-ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩინეთი არ შემოიფარგლება მხოლოდ დედაქალაქის აკადემიური სივრცით. იგი ანალოგიურად ცდილობს საგანმანათლებლო თანამშრომლობის დამყარებას საქართველოს რეგიონებთან. აჭარაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ხელი მოაწერა მემორანდუმს საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციასთან (GCFA). ჩინეთის მეგობრობის ასოციაციები, როგორც წესი, დაკავშირებულნი არიან ჩინეთის კომუნისტური პარტიის გაერთიანებულ ფრონტთან და ემსახურებიან ჩინეთის კომუნისტური პარტიის ინტერესების გატარებას საზღვარგარეთ.




საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაცია, სინოფსის კვლევის თანახმად, ამგვარი მეგობრობის ასოციაციები ,,მართულია ჩინელი ხალხის უცხო ქვეყნებთან მეგობრობის ასოციაციის (CPAFFC, 人民 对外 友好 协会) მიერ. ეს სისტემა საბჭოთა კავშირთან მეგობრობის ასოციაციების (общества дружбы) ანალოგიურია, მხოლოდ უფრო მასშტაბურად განვითარებული. PRC მეგობრობის ასოციაციები გლობალური გავლენის აპარატის ერთ-ერთი საყრდენია, რომლებიც იყენებენ გაერთიანებული ფრონტის (统一战线) ტაქტიკას, რათა მიმზიდველი ლექსიკის - ,,მშვიდობა", ,,მეგობრობა", ,,თანამშრომლობა" და ,,კულტურული გაცვლა" გამოყენებით, უზრუნველყონ პარტია-სახელმწიფოს ინტერესების სისტემატიური წინსვლა საზღვარგარეთ." საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციის (GCFA) მნიშვნელობის თვალსაჩინოებისთვის ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობებში, უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს ჩჰინა ენერგყ ჩომპანყ Lიმიტედ (GCFA) -ის აღმასრულებელი დირექტორი ჩიენ ჩან ზენგი, აირჩიეს მის პრეზიდენტად. (GCFA) დაარსდა საქართველო-ჩინეთის ეკონომიკურ-კულტურული განვითარების ცენტრის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს ბატონი ივანე ჩხარტიშვილი, საეჭვო რეპუტაციის ქართველი ბიზნესმენი, ედუარდ შევარდნაძის მთავრობის ვიცე-პრემიერი და ქვეყნის დღევანდელი არაფორმალური მმართველის, ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის ახლო მოკავშირე. თავაც (GCFA) -ის საქმიანობისა და მასთან დაკავშირებულ სკანდალებზე, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ იხილონ ჩვენი პირველი ანგარიში „ჩინეთის "დახურულ ბიზნეს ჩემპიონატში" ჩხარტიშვილი ლიდერობს...".

GCFA- ს 2018 წელს გამოქვეყნებული დოკუმენტის შესაბამისად, აჭარიდან ას სტუდენტს მიეცა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა მეცნიერებისა და ტექნიკის ჩანგშის უნივერსიტეტში.

# ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს რეგიონებში

უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის გარდა სინძიანის პროვინციის დელეგაცია ეწვია ქუთაისსაც. მისიას ხელმძღვანელობდა იანგტინის პოლიტიკური და იურიდიული მდივანი ინ ძინძე. ქუთაისის მერთან, მერის მოადგილესთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან, ასევე იმერეთის გუბერნატორის მოადგილესთან შეხვედრების დროს, ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოხატეს იმერეთსა და სინჟიანს შორის გაცვლითი პროგრამების შექმნის შესაძლებლობაზე. საგულისხმო ფაქტია, რომ როდესაც კონკრეტულად ამ რეგიონის წარმომადგენლებთან მყარდება ურთიერთობა, ცალსახაა, რომ ხელისუფლებამ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის მხრიდან მრავალჯერ გამოვლენილი სერიოზული პრობლემებისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების ფაქტებიდან გამომდინარე. აშშ-ს სახელმწიფო მდივანის მაიკ პომპეოს უახლესი განცხადება ერთ-ერთია იმ მრავალ მოწოდებათა შორის, რომელიც ამ კონკრეტულ საკითხზე ვაშინგტონში რეგულარულად კეთება:

> „შეერთებული შტატები არ აპირებს უქმად ყოფნას, სანამ CCP [ჩინეთის კომუნისტური პარტია] ახორციელებს ადამიანის უფლებების დარღვევას უიგურების, ეთნიკური ყაზახების და სხვა უმცირესობის ჯგუფების მიმართ სინძიანში".

აღსანიშნავია, რომ BRI ინიციატივის ფარგლებში, ჩინეთის მთავრობა აფინანსებს ქართველი მეცნიერების სხვადასხვა კვლევით ინიციატივას საბუნებისმეტყველო მეცნიერების, ინჟინერიის, ჯანდაცვისა და ტექნოლოგიების სფეროებში. ეს პროექტები წარმოადგენს ჩინეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ეროვნული ფონდისა და საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სიმპოზიუმის ,,მეცნიერება-ტალანტი-მომავალი" -ს სამოქმედო გეგმას.

სიმპოზიუმის შექმნის მიზანი მომავალი აკადემიური წინსვლისთვის ქართული კვლევითი ჯგუფების შეფასება და შერჩევა იყო. როგორც ქართული ინოვაციური HR Hub ირწმუნება სტატიაში, ჩინეთი, რომელიც წარმოადგენს პროფესიული განათლების განვითარების ლიდერს, განსაკუთრებით მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, IT ტექნოლოგიების და ენერგეტიკის სფეროებში, მუშაობს ქართველ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან, მათი უნარ-ჩვევების გაღრმავების მიზნით, საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობისთვის. 2018 წელს, ამ პროგრამების მასშტაბის გასაზრდელად, ჩინეთის განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა მოაწყვეს შეხვედრები ქართველ კოლეგებთან.




2019 წელს რეფორმები დაიწყო საზღვაო ტრანსპორტის სფეროში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ქალბატონი ნათია თურნავასა და ჩინეთის ტრანსპორტის მინისტრის ლი სიაოპენგის ოფიციალური შეხვედრის შემდეგ, სადაც ჩინეთის საზღვაო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული პერსპექტიული გაცვლითი პროგრამების საკითხი განიხილეს და ქართულმა მხარემ არსებული გაცვლითი პროგრამების გაზრდის დაპირება მიიღო, რაც საზღვაო უნივერსიტეტებში ქართველი სტუდენტებისთვის მეტ სტიპენდიას ნიშნავს. შეხვედრის დასრულების შემდეგ, საქართველოს მინისტრი მედიას ესაუბრა.




უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი შეხვედრა, ჩინური და ქართული თანამშრომლობის ყოველი ნაბიჯი, იქნება ეს რეალური პროგრამის განხორციელება, ინიციატივის იდეა თუ მხოლოდ დაპირება, აქტიურად შუქდება ქართული მედიის მიერ. ორივე მხრიდან განსაკუთრებული ძალისხმევაა მიმართული, რათა ყველა სატელევიზიო, ბეჭდური ან ონლაინ მედია იყოს წარმოდგენილი ასეთ საჯარო ღონისძიებებზე, საკითხის სრულად გასაშუქებლად. საქართველოს მთავრობის მიერ წახალისებული და მხარდაჭერილი ფართო მედია კამპანია (ორმხრივი შეხვედრები, ჩინეთის ელჩის საჯარო ლექციები, უნივერსიტეტებში ვიზიტები, მრავალმილიონიანი ინვესტიციის დაპირებებისადმი მიძღვნილი ცერემონიალები და სხვა) ჩინეთის კომუნისტური პარტიის პროპაგანდისტული მიზნების განხორციელების საუკეთესო საშუალებაა. ცერემონიების გაშუქების შემდეგ კი, აღარავინ ინტერესდება რა ბედი ეწია მილიარდიანი ინვესტიციების დაპირებებსა და აღმშენებლობის გეგმების განხორციელებას.

შესაბამისად, ეს ინიციატივები, პროექტები, გაცვლითი პროგრამები, ცერემონიები და ვიზიტები ემსახურება ჩინეთის უფრო ფართო მიზნებს, შეაღწიოს პროფესიულ და აკადემიურ სფეროებში, გავლენა მოახდინოს მის ინფორმაციულ სივრცეზე და, ამრიგად, წარმოადგინოს ჩინეთი, როგორც საქართველოს პირველი და საიმედო პარტნიორი. ეს მაგალითები ასევე ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ ჩინეთი ცდილობს იფიქროს და იმოქმედოს ფართოდ, რათა ეროვნულ დონეზე გაზარდოს საკუთარი გავლენა საინფორმაციო სივრცეზე.

გავლენის ოპერაციები მედიაში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და აკადემიაში, მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს სახალხო დებატებისა და ჩინეთის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით. დიდი ხანია, რაც ჩინეთის კომუნისტური პარტიის ოპერაციები ამ სამ სეგმენტში (აკადემიაში, მედიასა და სამოქალაქო ორგანიზაციებში) არსებობს, თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში ეს პროცესები უფრო დაჩქარებული სახით გვევლინება. ჩინეთის კომუნისტურ პარტიასა და გაერთიანებულ ფრონტთან დაკავშირებული ფაქტორები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში პროპაგანდის, ცენზურის, მანიპულირების, დაზვერვისა და ტელესაკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის კონტროლის გზით მოქმედებენ. არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს.

ამერიკული ფონდის „ეროვნული ღვაწლი დემოკრატიისთვის“ (NED) ანგარიშის „ცოდნის ეკონომიკის კომპრომისი: დამოუკიდებელი ინტელექტუალური კვლევის ავტორიტარული გამოწვევები" მიხედვით:

> „ავტორიტარული რეჟიმები ეჭიდებიან კავშირებს, და სათავისოდ იყენებენ დღეს ცოდნის ეკონომიკაში არსებულ სისუსტეებს, რათა მოახდინონ დემოკრატიის, როგორც ეფექტური პოლიტიკური ალტერნატივის დისკრედიტაცია, გააძლიერონ თავიანთი პოზიციები სახლში და ხელი შეუწყონ საზღვარგარეთ საკუთარი ძალებისა და ინტერესების დელეგირებას. ავტორიტარულ რეჟიმებში იგულისხმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (PRC) თავისი მოსახლეობისა და სიმდიდრის გათვალისწინებით, ასევე სხვა ქვეყნებიც - რუსეთი, საუდის არაბეთი და თურქეთი - რომლებიც ასევე სისტემატიურად თანამშრომლობენ უცხოელ პარტნიორებთან, განსხვავებული აზროვნების მარგინალიზაციასა ან დაშინებას უწყობენ ხელს, აკონტროლებენ ნარატივებს და მათთვის მისაღები აზროვნების განვითარებას ეწევიან."

პრობლემის სრულად და ნათლად გაგებისთვის ორი მაგალითი შევარჩიეთ, პრობლემის მასშტაბის გასაცნობიერებლად.

პირველი შემთხვევა აშშ-ში განთავსებულ ონლაინ ვიდეო კონფერენციების კომპანია Zoom-ს ეხება. 2020 წლის 10 ივნისს, Axios-მა განაცხადა, რომ ,,ზუმმა ჩინელ-ამერიკელი დემოკრატიის დამცველის ჟო ფენგსუოს ანგარიში დახურა მას შემდეგ, რაც მან ორგანიზება გაუწია 1989 წლის ტიანანმენის მოედანზე ხოცვა-ჟლეტის ვირტუალური ხსენების ღონისძიებას.“ ზუმს სპიკერმა Axios-ს დაუდასტურა, რომ ანგარიში დაიხურა „ადგილობრივი კანონის შესაბამისად“. „ადგილობრივ კანონს“ ამოფარებული არგუმენტი კი რეალურად, ამ შემთხვევაში, გულისხმობდა ჩინეთის მთავრობის მიერ კომპანიასთან გაგზავნილ შეშფოთების წერილს, იმის განმარტებით რომ მათი კანონმდებლობა კრძალავს 1989 წლის ტიანანმენის პროდემოკრატიული მოძრაობისა და ძალადობრივი მოვლენების შესახებ თავისუფალ დისკუსიას. საბოლო-

ოდ, ჟო ფენგსუოს ანგარიში ხელახლა გააქტიურდა, რადგან გამოძიებამ ვერ იპოვა დახურვის რეალური საფუძველი. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ანგარიში იყო აშშ-ში დაფუძნებული.

ზუმამდე ერთი წლით ადრე, სხვა ონლაინ კომპანია ლინკდინმა დაბლოკა ჟო-ს ანგარიში რათა ის ჩინეთში ვერ ენახათ, თავად მას კი შეტყობინებაში აცნობა, რომ ეს „კონკრეტული შინაარსის მატარებელი კონტენტის" გამო მოხდა. მასობრივი მედია ყურადღების გამო, ლინკდინმაც ზუმის მსგავსად აღადგინა დაბლოკილი გვერდი.

ეს შემთხვევა მნიშვნელოვანია იმის სადემონსტრაციოდ, რომ ზუმმა სწორედ ჩინეთში მოახდინა საკუთარი პროდუქტის განვითარება და მოგვიანებით აღიარა, რომ ანგარიშის დახურვა გამოწვეული იყო ჩინეთის მთავრობის თხოვნით. რაც შეეხება ლინკდინს, როგორც ჩინეთში ერთადერთი ნებადართული სოციალური ქსელი, იგი აქტიურად ადაპტირდება „ადგილობრივ კანონებსა და რეგულაციებთან", რათა პლატფორმამ ქვეყანაში ფუნქციონირება განაგრძოს და სტატუსი შეინარჩუნოს.

ჩინეთის მთავრობის ჩართულობა არ შემოიფარგლება მხოლოდ კომპანიებზე და კერძო ორგანიზაციებზე ზემოქმედებით. 2020 წლის აპრილში, კიდევ ერთი გავლენის ოპერაციის მოწმენი გავხდით ბრიუსელში, სადაც კომუნისტური პარტია ევროკავშირის კოვიდ-19 დეზინფორმაციის ანგარიშის დაბლოკვას შეეცადა. 24 აპრილს New York Times -მა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ნათქვამია „პეკინის მხრიდან წამოსული დიდი წნეხის გამო, ევროკავშირის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ამ კვირის ანგარიშში შეამსუბუქეს კრიტიკა ჩინეთის მიმართ." ანგარიში საბოლოოდ მაინც გამოქვეყნდა, თუმცა ბრიუსელში ჩინელმა დიპლომატებმა ეფექტურად შეძლეს ენის შერბილება, რამაც გამოიწვია საკმაოდ მწვავე დებატები ევროპარლამენტში და ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი წარმომადგენლის ბ-ნ ბორელის მრავლობითი გამოკითხვები. როგორც გამოცემა POLITICO იტყობინება, კრიტიკის საპასუხოდ, ბ-ნმა ბორელიმ განაცხადა, რომ „ევროკავშირი აღარ მოექცევა ჩინეთის ცენზურის ქვეშ".

თუ გავითვალისწინებთ ბიზნეს გიგანტების ან ევროპელი ლიდერების ჩინეთის კომუნისტური პარტიისადმი მორჩილებას, ძნელი არ არის იმის პროგნოზირება, თუ რამდენად „ძლიერი" და „გამძლე" შეიძლება იყოს ისეთი პატარა სახელმწიფო, როგორიც საქართველოა, პეკინის გავლენის ოპერაციების მიმართ ინფორმაციულ სივრცეში ან სხვაგან.

მომდევნო თავებში განვიხილავთ ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მედიაში ჩინეთის მონაწილეობასთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე განხორციელებულ ზეწოლასთან, საქართველოში 5G-თან დაკავშირებულ ნარატივებსა და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, მაგალითად, ისეთ კომპანიებთან მიმართებაში, როგორიც ჰუავეია.

„საქართველოს შემთხვევა დღეს განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ჩინეთის მიმართ კონკრეტული საზოგადოებრივი განწყობები ჯერ არ არის საბოლოოდ ფორმირებული. ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ კარგად იცის, რომ სანამ მოცემულ ქვეყანაში ეკონომიკურ ან პოლიტიკურ გავლენებს დაამყარებს, საინფორმაციო სივრცეში დადებითი განწყობების ჩამოყალიბებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამრიგად, იმისათვის რომ შეიქმნას ზოგადი პოზიტიური იმიჯი, ჩინეთი თავის პროპაგანდას ახორციელებს მრავალფეროვანი სქემებითა და საქმიანობებით, რასაც თან ახლავს მასობრივი საინფორმაციო კამპანიები: უნივერსიტეტებს შორის ორმხრივი ხელშეკრულებების წახალისება, სტუდენტებისა და მეცნიერებისთვის სამთავრობო სტიპენდიების წამოწყება, სხვადასხვა სასწავლო ცენტრების შექმნა, ადგილობრივი მედიასაშუალებების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაფინანსება, სხვადასხვა ჯგუფებისა და ორგანიზაციების მხარდაჭერა, ხუთვარსკვლავიანი სასწავლო ვიზიტები ჩინეთში და სხვა.




დღესდღეობით, პანდემიის კრიზისის გამო, ტრადიციულ სამოქმედო ფორმასა და ახალ ამბებს თან ახლავს Covid-19-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებული მასობრივი კამპანიაც, რომლის მიზანია, გავლენა მოახდინოს მედია საშუალებებზე და ახალი ამბების მკითხველებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ძალისხმევის ზოგიერთი ასპექტი შესაბამისობაშია ტრადიციულ სახალხო დიპლომატიასთან, ბევრი სხვა ინფორმაცია არის ფარული, იძულებითი და მანიპულაციური, დიდი ნაწილი კი უბრალოდ დამახინჯებული ფორმით არის მოწოდებული. მაგალითად, ჩინეთის ელჩმა საქართველოში 2020 წლის 23 მარტს პრეს-კონფერენცია გამართა, სადაც ქართველ საზოგადოებას უამბო ჩინეთის ეფექტურობის ისტორია „ვირუსის გავრცელების ადრეულ გამოვლენისა და პროფილაქტიკის შესახებ". ქართულმა მედიამ აიტაცა ეს ამბავი, კრიტიკული შეხედულებებისა და სათანადო ანალიზის გარეშე. სატელევიზიო ეთერშიც მხოლოდ ელჩის შეცდომაში შემყვანი და მანიპულაციური განცხადებები გაშუქდა.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ სკანდალური ჩინური კომპანია „ბიოიზი"(Bioeasy), რომელიც აწარმოებს კორონავირუსის გაუმართავ სწრაფ ტესტებს. ის წარმოადგენს მაგალითს იმისა, თუ როგორ აწვდის სხვა ქვეყნებს ჩინეთი თავისი პროპაგანდითა და უხარისხო პროდუქციით თუ რესურსებით (ნიღბები, სწრაფი ტესტები და ა.შ.) შეფუთულ სამედიცინო დახმარებას. ამ გზით, ჩინეთის კომუნისტური პარტია ცდი-

ლობს, ხელი შეუწყოს საკუთარი თავის, როგორც საიმედო და პასუხისმგებლიანი პარტნიორის წარმოჩენას, მაგალითად შეერთებულ შტატებთან შედარებით. ჩინური სწრაფი ტესტების გამოცდილება ამის შესანიშნავი ილუსტრაციაა.

ესპანეთი იყო ერთ-ერთი პირველი იმ ქვეყნებს შორის, რომელმაც 640,000 სწრაფი ტესტი შეისყიდა ჩინეთიდან და სამხრეთ კორეიდან. ინფექციური დაავადებების სპანურმა საზოგადოებამ (Spanish Society of Infectious Disease) დაადგინა, რომ თითქმის 9,000 გამოყენებულმა ტესტმა აჩვენა არაზუსტი შედეგი. ესპანეთში ჩინეთის საელჩომ უარყო რაიმე სახის კავშირი კომპანია Bioeasy–სთან. ისინი აცხადებენ, რომ კომპანიის პროდუქცია არ მიეკუთვნება იმ მარაგებს, რომლებიც ჩინეთმა ოფიციალურად დაამტკიცა სხვა ქვეყნებში ექსპორტისთვის.

იმავე კომპანიის (Bioeasy) სწრაფი კორონავირუსის ტესტები ჩეხეთის რესპუბლიკაშიც ჩავიდა. მთლიანობაში, ჩინეთმა ქვეყანას 150,000 ტესტი გაუგზავნა, რომელთა 80% მცდარი აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ, ჩეხები იძულებული გახდნენ ლაბორატორიულ შედეგებს დაყრდნობოდნენ, რაც თავისთავად უფრო დიდ დროს მოითხოვდა და შეანელა კრიზისის მენეჯმენტი.

ესპანეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის მსგავსად, ნიდერლანდები და თურქეთი ასევე გამოთქვამდნენ თავიანთ შეშფოთებას ჩინეთიდან შემოტანილი სამედიცინო პროდუქციის ხარისხის თაობაზე. ევროპული სახელმწიფოების მსგავსად, საქართველომაც სწორედ ჩინეთისგან გადაწყვიტა კოვიდ ვირუსთან დაკავშირებული სამედიცინო პროდუქტის შეძენა და ჩინეთის „გულუხვობის პოლიტიკის" მიმღებთა შორის ჩართვა. წარუმატებელი პრეცედენტების მიუხედავად,"საქართველოს მთავრობამ მაინც შეისყიდა Shenzhen Bioeasy Biotechnology-ის სწრაფი ტესტები, თითოეული 5.5 დოლარად. რაც მთლიანობაში, ტრანსპორტირების საფასურის გამოკლებით, საქართველოს მთავრობას 1,182,500 დოლარი დაუჯდა." თუმცა როგორც ყოველთვის, საქართველოს ხელისუფლებას „გამორჩა", მილიონზე მეტი ღირებულების კონტრაქტის გაფორმებამდე, გაერკვია იმ კომპანიის სანდოობის საკითხი, ვისთანაც გადაუდებელი აუცილებლობის პროდუქტის შესყიდვაზე იწყებდა ურთიერთობას და რომლის არასაიმედო ბიზნეს ურთიერთობების შესახებ უკვე მსოფლიო პრესა წერდა..

სამწუხაროდ, არაერთხელ დავრწმუნდით, რომ როდესაც საქმე ჩინურ კომპანიებს შეეხება. მათი წინასწარი კვლევა და უფლებამოსილების სათანადო გულმოდგინებით განხორციელება არ წარმოადგენს უმთავრეს ამოცანას, რადგან ამ უსიამოვნო გამოცდილების შემდეგაც კი, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი, ქალბატონი ტიკარაძე კვლავ ბრმად ენდობა ჩინეთის მთავრობის მიერ გამოგზავნილ სწრაფ ტესტებს, როგორც "საჩუქარს", რომელიც უსაფრთხოა და მაღალი ხარისხითა და სიზუსტით გამოირჩევა.

# ჩინეთის გავლენა ქართულ მედიაზე

პეკინი ინტელექტუალური და ფინანსური რესურსების აქტიურ ინვესტირებას ახორციელებს ქართველ ჟურნალისტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ექსპერტთა საზოგადოებასთან გამოცდილების გაზიარების მიზნით, მათი ჩინეთში მოგზაურობის ხელშესაწყობად.

საქართველოში ჩინურ მედია პლატფორმა კომპანია 4U-თი არის წარმოადგენილი. იგი უფრო დიდი ჩინური "GBTimes: Bringing China Closer" ქსელის ნაწილია. მათი ვებგვერდის მიხედვით, GBTimes არის „უნიკალურად განთავსებული მედიისა და ვაჭრობის ხელშემწყობი კომპანია", რომელიც მოქმედებს ჩინეთსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. დაარსდა 1994 წელს, ფინეთში და „ხელს უწყობს ჩინეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას და ევროპელებსა და ჩინელ მომხმარებლებს სთავაზობს მთელ რიგ ფასდაუდებელ კულტურათაშორის საკომუნიკაციო სერვისებს. ჩვენი მიზანი მარტივია: ჩვენ ვართ ხიდი ჩინეთსა და დანარჩენი მსოფლიოს შორის".

კომპანიის თვითწარდგენაში არ არის ნათქვამი, რომ მისი წილის 60 პროცენტი ეკუთვნის მთავრობის საკუთრებაში არსებულ China Radio International (CRI)-ს, რომელიც მისი აღმასრულებელი დირექტორის, ბატონის ჟაოს განცხადებით, „წელიწადში რამდენიმე მილიონ ევროს იხდიდა" კომპანიის მიერ რადიოპროგრამების წარმოებაში. Reuters-თან ინტერვიუში, ბატონი ჟაო ამტკიცებდა, რომ მათ არასოდეს დაუმალავთ თავიანთი კავშირები ჩინეთის მთავრობასთან, რადგან „ამაში დასამალი არაფერია". კომპანია თავდაპირველად დაფუძნდა ფინეთში, მაგრამ მას ჰყავს პარტნიორი მედია საშუალებები და საქმიანობს მთელ ევროპაში, უნგრეთიდან იტალიამდე, ასევე, ტაილანდში, ავსტრალიაში, აშშ-ში და ა.შ. ქართული 4U ამავე ქსელის ნაწილია და სამი რადიოსადგურის საშუალებით მაუწყებლობს. ასევე, აქვს დიდი ინტერნეტ დაფარვა.

GBTimes ევროპაში რამდენიმე სკანდალში იყო გახვეული. როგორც ფინეთის მედია 2019 წელს იუწყებოდა, გამოძიება მიმდინარეობდა და აღმასრულებელი დირექტორი ბ-ნი ჟაო, „ექვმიტანილია თაღლითობის ჩადენაში 2012-2016 წწ-ში". აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ მათი ინგლისურენოვანი ვებგვერდის https://gbtimes.com-ის მიხედვით, 2020 წლის 5 ივნისს კომპანიამ არსებობა შეწყვიტა, რაც ბატონმა ჟაომ, მკითხველებსა და მომხმარებლებს დასამშვიდებელ წერილში შექმნილი „ფინანსური მიზეზებით" აუხსნა.


gbtimes Bringing China Closer

My Dear Friends,

These are the last few days of gbtimes.com. Due to financial reasons, we can no longer serve our friends out there. The site will be permanently offline after the 5th of June, 2020. We sincerely thank you all for your support during all these years!

We made the first version of what evolved to be gbtimes.com already in 2004. Together with a few friends, we wanted to introduce China to Western readers in order to narrow down the gap between the image of China in the West and the reality of China at home. With your support, we had a great 16-year run!

Now that we must say farewell to you, my friends, I personally feel very sentimental. This site meant a lot to me and to the whole team, but it is you that have given the true meaning to all our efforts. Consequently, I thought this is the right time to share with you the story behind the reason why I started this site in the first place.

In the late 1990s, during my first few years in Europe, I met a Finnish business man who said to me that he will never go to China as long as China remains like Soviet Union was. I asked him if he had had any business with China at all, and he told me he hadn't. I was shocked. It was not simply because I am Chinese and love my country but also because the comments from that Finnish gentleman demonstrated a huge gap between the image that people had of China in the West and the reality of China. Moreover, the distorted image had even suppressed

საქართველოში, GBTimes აწყობს ჩინეთში ქართული მედიის წარმომადგენლების ვიზიტებს ტურიზმის, ხელოვნების, სპორტის, ცხოვრების წესის, ჯანმრთელობის, ბიზნესის, ახალი ტექნოლოგიებისა და სხვა საზოგადოებრივ სფეროებში. სრულად დაფინანსებული ორ-სამკვირიანი ვიზიტი სახელწოდებით "Discover China" ემსახურება ძალიან კონკრეტულ მიზანს, რომ წარმოაჩინოს ჩინეთი როგორც პროგრესული, ტექნოლოგიურად მოწინავე და სწრაფად მზარდი სახელმწიფო, „რომელსაც შეუძლია შვიდ თვეში ახალი ქალაქის აშენება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროების მიხედვით", - აღნიშნა პროგრამის 2019 წლის ნაკადის მონაწილე ქართველმა ჟურნალისტმა, სამოქალაქო იდეასთან ინტერვიუში.




ყოველწლიურად პროგრამაში მონაწილეობს ათობით ქართველი ჟურნალისტი, რომლებიც წარმოადგენენ ბეჭდურ და ონლაინ მედიას, სატელევიზიო მაუწყებლებსა და რადიოს. პეკინის გარდა, ისინი მოგზაურობენ სხვადასხვა ქალაქებსა და რეგიონებში. ჩინეთში მოგზაურობისას, მშვენიერ და გასაოცარ კულტურულ და ისტორიულ ღირშესანიშნაობებთან ერთად, ისინი სტუმრობენ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სხვადასხვა სამთავრობო ინსტიტუტებს, როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე. პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია ჩინეთის ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ პუნქტებში ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც ჩინეთის წარმომადგენლები აჩვენებენ, თუ რამდენად კარგად ეპყრობიან და აფასებენ თავიანთ უმცირესობებს „პროპაგანდისტული დასავლური მედიის არგუმენტების წინააღმდეგ". პროგრამის ნაწილია აგრეთვე იმის ჩვენება, რომ მთავრობა მუდმივად აშენებს ახალ ქალაქებს უმცირესობათა საჭიროებების გათვალისწინებით.

სოციალურ მედიაში (იმის გათვალისწინებით, რომ ფეისბუქი საქართველოში ყველაზე პოპულარულია) ხშირად შეგხვდებათ იმ ქართველი ჟურნალისტების გვერდები და ბლოგები, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ პროგრამებში. მათ მიერ მომზადებული მასალები ასახავენ არა მხოლოდ მათ მიერ მონახულებულ ღირშესანიშნაობებს, არამედ ასევე შეიცავს ინფორმაციას სხვადასხვა დასახლებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლებიც წარმოაჩენს ჩინეთის ხელისუფლების ყველაზე ჰუმანურ და სოციალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებულ პოლიტიკას, მათი მოქალაქეების მოთხოვნილებების შესაბამისად.

ჩინეთში მოგზაურობის დროს, ჟურნალისტები ჩვეულებრივ იწერენ სარეკლამო ვიდეორგოლებს მათი მოგზაურობის ყველაზე შთამბეჭდავი მომენტების შესახებ.

4U პლატფორმა ფუნქციონირებს ოთხ: ქართულ, ინგლისურ, რუსულ და ჩინურ ენებზე. მას სამი პარტნიორი რადიო ჰყავს, ესენია: JAKO FM, LIFE FM და შოკოლადი. თითქმის ერთი წლის წინ, 4U-მ დაიწყო ყოველდღიური პროგრამა სახელწოდებით „აღმოაჩინე ჩინეთი". იგი შედგება საინფორმაციო პროგრამისა და ინტერაქტიული თოქშოუსგან, რომელთა სტუმრებიც არიან ჩინეთისა და საქართველოს სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები, მწერლები, მსახიობები, პოლიტიკოსები, საჯარო პირები, რომლებიც ჩინეთში იმყოფებოდნენ და მათი სახელმწიფო პროგრამების ბენეფიციარებს წარმოადგენენ. მათი ვებგვერდის მიხედვით, უკვე ჩაწერილია თითქმის 200 გადაცემა.

ერთ-ერთი სინძიანელი ჟურნალისტის თქმით: „JAKO FM, რომელიც ეკუთვნის საერთაშორისო მედია ჰოლდინგ GBTimes-ს, არის ერთ-ერთი ყველაზე სმენადი რადიო საქართველოში. მსმენელს აქვს საშუალება თვალყური ადევნოს ექსკლუზიური ვიდეო და აუდიო პროგრამების ფართო სპექტრს რადიოთი, ფეისბუქითა და სხვა საზოგადოებრივი მედია-პლატფორმებით."

# მედია და სამოქალაქო საზოგადოება ჩინეთის გავლენების პირისპირ

გავლენის ოპერაციების სამიზნე პერიოდულად ზოგიერთი ქართული მედია საშუალება და სამოქალაქო საზოგადოებაც ხდება. საქართველოს აქვს პლურალისტული და კონკურენტუნარიანი, თუმცა პოლიტიკურად პოლარიზებული მედია გარემო. მიუხედავად პოლიტიკური მიკერძოებებისა, ჯერ კიდევ არსებობს დამოუკიდებელი და შედარებით ნეიტრალური მედია პლატფორმები, ონლაინ საინფორმაციო პორტალი www.bm.ge წარმოადგენს ერთ-ერთ ასეთ მაგალითს. იგი მონიტორინგს უწევს ჩინეთის ეკონომიკური საქმიანობის პოზიტიურ და უარყოფით მხარეებს საქართველოში და ასევე ცდილობს მსოფლიოში მიმდინარე  მოვლენების გაშუქებას ამ თვალსაზრისით. მეორე მხრივ, მთავრობის მიერ მხარდაჭერილი მედია ძირითადად ჩინეთს წარმოაჩენს, როგორც საიმედო პარტნიორს და წარმატებით აშუქებს მთავრობის ძალისხმევას ჩინეთთან ურთიერთობების განსამტკიცებლად. მაგალითად, ტელეკომპანია „იმედი“ მუდმივად გვიჩვენებს ახალი აბრეშუმის გზის გარშემო განვითარებულ მოვლენებს და გვიყვება ჩინეთის შესახებ, როგორც საქართველოს მნიშვნელოვან ინვესტორსა და ეკონომიკურ პარტნიორზე, კონკრეტული ანალიზის ან რისკ ფაქტორების შეფასების გარეშე.

ამგვარი საინფორმაციო ნაკადები კიდევ უფრო გახშირდა ბოლო პერიოდში. ჩვენ მუდმივად ვისმენთ გრძელ და პოზიტიურ ცნობებს ჩინეთის ეფექტური ბრძოლის შესახებ პანდემიის დამარცხების გზაზე, „დასუსტებული“ დემოკრატიული რეჟიმების საპირისპიროდ. ნარატივი კოვიდ-19-თან ჩინეთის „წარმატებული“ ბრძოლის შესახებ, რომელიც ამავე გამოწვევის წინაშე „დამარცხებული“ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითებს დარდება მუდმივად, საკმაოდ პოპულარული თემაა მმართველი პარტიის მხარდამჭერ მედიაში. ეს არის იგივე მედია პლატფორმა, რომელიც დასცინის ლიბერალურ დემოკრატიებს, უმცირესობებს ა. შ.

უფრო ზოგადად თუ შევხედავთ, ვნახავთ რომ ქართულ მედიაში, ჩინეთთან დაკავშირებული კონტენტის ანალიზი პრაქტიკულად არ გვხვდება. უკეთეს შემთხვევაში სახეზეა სხვადასხვა ქვეყნის საინფორმაციო საშუალებების მიერ გაშუქებული ამბების პირდაპირი გამოტანა. იმის მიხედვით თუ რომელ მედია წყაროს ეყრდნობა ესა თუ ის ქართული მედიაგამოცემა შეგვიძლია ვიმსჯელოთ მის დამოკიდებულებაზეც აღნიშნული საკითხის მიმართ. აქვე, სამართლიანობა   მოითხოვს ითქვას, რომ საქართველოში რუსულ გამოწვევებზე დისკუსია იმდენად აქტიური და აქტუალურია, რომ შთაბეჭდილება რჩება თითქოს სხვა დისკურსიის შემოტანის ადგილიც კი აღარ რჩება.

აქვე უნდა ითქვას, რომ მაშინ როდესაც, რაიმე მიზეზით აქტიურდება ჩინეთზე დისკუსია მედიაში,  ნათლად ვხედავთ ჩინეთის მედია ტურების გავლენას. ძალიან ხშირად ვაწყდებით ორჭოფობის პრობლემას გაშუქების თვალსაზრისით მაშინ, როცა

ჩვენი საგამოძიებო მასალა მედიაში ხვდება; ჟურნალისტების რეაქციითა და სიუჟეტების შერჩევით მარტივად შეიძლება გამოიცნოთ ვინ არის უკვე CCP-ს ნარატივებთან ნაზიარები და ვინ არა.

ტრადიციული მედიისგან განსხვავებით, ონლაინ მედია უფრო მეტ სიმამაცეს და ინტერესს ავლენს საგამოძიებო ჟურნალისტიკის და სიმართლის ძიების კუთხით. არსებობს რამდენიმე მცირე ინტერნეტ პორტალი და ფეისბუქის გვერდი, რომლებიც უფრო და უფრო აქტიურად ფოკუსირებენ საქართველოში ჩინეთის ბიზნეს საქმიანობაზე და პროფესიონალურად უპირისპირდებიან ჩინეთის ნარატივებს.

მედიის მსგავსად, საქართველოში არსებობს ძალიან ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები უშუალოდ ან ირიბად არიან ჩართულები ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური ან სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტში. ისინი მონიტორინგს უწევენ, იკვლევენ, აფიქსირებენ, იცავენ და ლობირებენ საკითხების მრავალფეროვან სპექტრს. მედიის ნაწილის მსგავსად, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ასოციაციების და ანალიტიკური ცენტრების ყურადღებაც ძირითადად რუსეთის პოლიტიკას ეთმობა. რუსეთი არის კვლევებისა და პოლიტიკური რეკომენდაციების მთავარი სამიზნე. მაგრამ, არსებობს გამონაკლისები და ზოგიერთი ორგანიზაცია მონაწილეობს სხვა პოლიტიკური მოთამაშეების, ევროკავშირის, აშშ-ის, ჩინეთის, თურქეთის, ირანის და ა. შ. კვლევასა და პოლიტიკის ანალიზში.

საერთო ჯამში, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები თანდათანობით ავლენენ დაინტერესებას ჩინეთის და საქართველოში მისი მზარდი გავლენის მიმართ.

მთლიანობაში, საჭიროა უფრო არსებითი კვლევებისა და გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება პრობლემის გადასაჭრელად, ძირეული მიზეზების შესასწავლად და პრევენციის დინამიკის საპოვნელად.

## 5G და ჰუავეი

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იცვლება მსოფლიო მოსახლეობის კავშირგაბმულობის საჭიროებები. გლობალური ინფორმაციული ნაკადი 2024 წლის დასასრულისთვის 5-ჯერ გაიზრდება, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება ურბანულ დასახლებებში. სწორედ ამის გამო, 4G ქსელები ვერ შეძლებენ ეფექტურად ფუნქციონირებას, რაც ავტომატურად აჩენს განახლებული ქსელების საჭიროებას.

5G არის ახალი, (მეხუთე) თაობის უკაბელო ქსელის ტექნოლოგია, რომელიც შეცვლის ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებასა და მუშაობის სტილს. ის გაცილებით სწრაფია ვიდრე არსებული 4G და დროის მოკლე პერიოდში უფრო მეტ მოწყობილობას უკავშირდება, ვიდრე მისი წინამორბედი. 5G მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ქსელურ კავშირს (გამოირჩევა სწრაფი ატვირთვა-ჩამოტვირთვის სიჩქარით) და მომხმარებლებს აღარ მოუწევთ არსებულ შეფერხებებთან გამკლავება, (მაგალითად, მაღალი ხარისხის მქონე ვიდეოს ყურებისას). 5G-ს შესახებ საუბარი აშშ-სა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით 2018 წელს დაიწყო, თუმცა განსაკუთრებულად აქტიურად ეს საკითხი ჩინურმა კომპანიებმა აიტაცეს.

სანამ 5G-ს პროვაიდერ კომპანიებთან დაკავშირებულ სკანდალებსა და თავად ამ ტექნოლოგიასთან ასოცირებულ მითებსა და რეალობას განვიხილავთ, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა თუ რა განაპირობებს 5G-ს ეფექტურობასა და პოპულარულობას მსოფლიოს მასშტაბით.

სიჩქარისა და გამტარიანობის გარდა, 5G ტექნოლოგიებს სხვა დადებითი შედეგებიც მოჰყვება. კანადური ტელეკომუნიკაციების კომპანია Telus Corporation-მა კვლევა მიუძღვნა მსოფლიოსთვის 5G-ს მნიშვნელობას. მათი აზრით, ახალი თაობის ტექნოლოგია მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ეკონომიკური ზრდისა და ბიზნეს გარემოს მრავალფეროვნების კუთხით პოსტ-კოვიდ რეალობაში. ის ასევე დადებითად იმოქმედებს ჯანმრთელობის, განათლების, სატელეკომუნიკაციო სამუშაოების სტიმულირებისთვის, COVID-19-ის გავლენის გათვალისწინებით. 2020 წელს კანადურმა კომპანიამ Bell Canada-მ 5G ქსელების ათვისება დაიწყო და პარტნიორ კომპანიად შვედური Ericsson აირჩია. Bell Canada-ს დამფუძნებელმა და პრეზიდენტმა მირკო ბიბიჩიმ განაცხადა, რომ დღევანდელი კრიზისის პირობებში, კანადისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექნოლოგიებში ინვესტიცია და ამ ინვესტიციების დიდი მასშტაბები ეროვნული კონკურენტუნარიანობის, ეკონომიკური ზრდისა და გამძლეობის შესანარჩუნებლად. ბიბიჩი იმედოვნებს, რომ ერიქსონისა და სხვა 5G პარტნიორების მხარდაჭერით, კანადა დარჩება ლიდერად ახალი თაობის მობილური კომუნიკაციების ბაზარზე.

თუმცა, ისმის კითხვა, თუ რატომ ირჩევენ დასავლური დემოკრატიები 5G პარტნიორებად დემოკრატიული სახელმწიფოების სატელეკომუნიკაციო კომპანიებს და არა ჩინეთის ტექ გიგანტებს? უსაფრთხოების რა რისკებს შეიცავს ჩინეთის ალტერნატივები?

ტექ-გიგანტს ტელეკომუნიკაციების სფეროში, ჰუავეის, რომელიც 5G ტექნოლოგიების მთავარ ჩინურ პროვაიდერად ითვლება და საკმაოდ პოპულარულია საქართველოშიც, ამერიკელები ჩინეთის მთავრობისთვის ინფორმაციის მიწოდებას, არალეგალურ საბანკო მაქინაციებსა და შესაბამისად, აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნაში ადანაშაულებენ.

2019 წელს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა კონფერენციის „ჰუავეი და მასთან დაახლოებული ჩინური ტექ-გიგანტები: ეროვნული უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკის შედეგები" (Huawei and Its Siblings, the Chinese Tech Giants: National Security and Foreign Policy Implications) დასკვნითი დოკუმენტი. კონფერენცია წარმოადგენდა ფართომასშტაბიანი დიალოგის „მრავალმხრივი ზომები მგრძნობიარე ტექნოლოგიებზე" (Multilateral Action on Sensitive Technologies (MAST)), ნაწილს, რომელიც ჰუავეისთან ერთად მსოფლიო სხვა ტექ-გიგანტებსა და მათ საქმიანობაზე ამახვილებს ყურადღებას. ამ კონკრეტული დოკუმენტის მიხედვით, აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტმა კომპანია ამხილა:

- სახელმწიფო საიდუმლოების ქურდობაში, სავაჭრო სფეროში,
- შეთქმულებებში,
- თაღლითობაში,
- მართლმსაჯულების აღსრულებისთვის ხელის შეშლაში,
- საბანკო მაქინაციებში,
- ფულის გათეთრებაში,
- საერთაშორისო საგანგებო ეკონომიკური უფლებამოსილებების შესახებ (International Emergency Economic Powers Act (IEEPA)) კანონის დარღვევაში,
- ირანის არალეგალურ დახმარებაში.

ეს დარღვევები ძირითადად დაკავშირებულია ჰუავეისა და სკაიკომის შემთხვევასთან, რომელზეც ქვევით ვისაუბრებთ. იმავე დოკუმენტში განხილულია ჩინეთის კომუნისტური მთავრობის გავლენა ჰუავეიზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჰუავეი კერძო კომპანიად ითვლება, ის და მისი მსგავსი ტექნოლოგიური გიგანტები მარტივად ექცევიან ჩინეთის კომუნისტური პარტიის გავლენის ქვეშ და ეფექტურად ატარებენ მათ პოლიტიკას არა მარტო ჩინეთში, არამედ მთელ მსოფლიოში. შესაბამისად, ჰუავეი ტექნოლოგიურ მოწყობილობებს ეფექტურად იყენებს დაზვერვისა და ჩინეთის მთავრობისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებისთვის, რაც პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოებისთვის. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰუავეისთან დაკავშირებული გამოწვევები ნაკლებად ატარებს ტექნიკურ ხასიათს, ისინი უფრო პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ პრობლემებთან ასოცირდება.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ჰუავეი, წლების განმავლობაში მოქმედებდა აშშ-ს მიერ ირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების საპირისპიროდ და არღვევდა მის პირობებს ამერიკაში მოქმედ და რეგისტრირებულ კომპანიებთან დაკავშირებით. ეს სიტუაცია კი საფრთხეს უქმნის ამერიკის საგარეო პოლიტიკას. უფრო კონკრეტულად კი სკაიკომი (Skycom), რომელიც ჰუავეიმ 2007 წელს ოფიციალურად მიჰყიდა ოფშორულ კომპანიას, აქტიურად ახორციელებდა ბიზნეს საქმიანობას ირანში სანქციების მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. ახალი ამბების სააგენტო Reuters-მა ამ საკითხებზე ფართო გამოძიება ჩაატარა და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს შესაბამის პუბლიკაციებს.

დღესდღეობით, ამერიკის მთავრობა ჰუავეის უკრძალავს, მისი ოფიციალური ნებართვის გარეშე ამერიკულ კომპანიებთან ბიზნესის წარმოებას. აშშ-ს გარდა, ჰუავეის ინფორმაციის გაჟონვასა და არალეგალურ მაქინაციებში ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, კანადისა და ბრიტანეთის მთავრობებიც ადანაშაულებენ.

განვიხილოთ ბრიტანეთის მაგალითი, სადაც ჰუავეის კიბერუსაფრთხოების შეფასების ცენტრი (Huawei Cyber Security Evaluation Centre (HCSEC)) შეიქმნა და უშუალოდ მინისტრის კაბინეტს ექვემდებარება. შეფასებისა და განხილვისთვის უკვე წარდგენილია ხუთი ანგარიში, რომლებიც საჯაროდ ხელმისაწვდომია. 2019 წლის ყოველწლიურ ანგარიშში, ბრიტანეთის მთავრობასთან ასოცირებულმა ჰუავეის კიბერუსაფრთხოების შეფასების ცენტრმა მოახდინა ჰუავეის აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის ანალიზი, გამოაქვეყნა კვლევები ჰუავეის პროგრამაში არსებულ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით და დაადგინა რომ იგი საფრთხეს უქმნიდა ბრიტანეთის უსაფრთხოებას. შესაბამისად, მათ გასცეს კონკრეტული რეკომენდაციები და აიძულეს ჰუავეი დაეხარჯა 2 მილიარდი დოლარი ხარვეზების გამოსასწორებლად. რისკებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 5G-სთან დაკავშირებული პრობლემები, რომლის ერთ-ერთი მიმწოდებელი სწორედ ჰუავეია. მოგვიანებით 2020 წელს, ბრიტანეთის თემთა პალატამ გამოსცა ახალი ანგარიში (Debate Pack: Number CDP 2020/0045, 3 March 2020, “Security implications of including Huawei in 5G”, by Georgina Hutton, Nikki Sutherland and Joanna Dawson.) სადაც 5G აღჭურვილობის გამოყენებას დაემატა ახალი პოტენციური მავნე შესაძლებლობები. მოხსენება ეხება აშშ-ს და ავსტრალიის დასკვნებს, ასევე სხვადასხვა ბრალდებას ჰუავეის წინააღმდეგ. ანგარიშის დასკვნაში წერია რომ „მტკიცებულებებმა, რომლებიც სხდომაზე მოვისმინეთ, ვერ დაგვარწმუნა იმაში, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხი არ არის.“

მოხსენების დასკვნები დაფუძნებულია 2017 წლის ჩინეთის ეროვნულ სადაზვერვო კანონზე (China's 2017 National Intelligence Act), რომლის მიხედვით, ჩინეთს შეუძლია 5G-ს მომხმარებელ ინდივიდებსა და ორგანიზაციებს მოსთხოვოს თანამშრომლობა ჩინეთის სადაზვერვო უწყებებთან და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებაც. გაერთიანებული სამეფო აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ სახელმწიფოებთან რათა გარკვეული შეზღუდვები დაუწესოს ჰუავეის მიერ შემოთავაზებულ სერვისებს და ამით უზრუნველყოს ეროვნული უსაფრთოხება.

ჰუავეი არ არის ერთადერთი კომპანია, რომელიც მრავალი ქვეყნის შეზღუდვებისა და სანქციების ქვეშ მოექცა. ჩინური Zhongxing Telecommunication Equipment Corporation (ZTE) ასევე ჩინეთის მთავრობის სადაზვერვო ინსტრუმენტია და მასაც ფართო საერთაშორისო გავრცელება აქვს. 2018 წელს, ავსტრალიამ ამერიკის მსგავსად დაუწესა აკრძალვები ამ ორ კომპანიას, „რომლებიც სავარაუდოდ არაოფიციალურად ექვემდებარებიან უცხო მთავრობას" და ისინი 5G პროექტებიდან გათიშა. იმავე წელს, იაპონიის მთავრობამ აკრძალა ჰუავეის და ZTE-ის 5G ქსელები. ასევე, ამ კომპანიას გარკვეული შეზღუდვები დაუწესეს საფრანგეთის, პოლონეთის, ჩეხეთის, გერმანიის და კანადის მთავრობებმაც.

გლობალურად 5G-ს გამოჩენას, უამრავი მითისა და დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელება მოჰყვა. მაგალითად, არსებობს გამოგონილი ამბები, რომ თერმოსკრინინგის აპარატებით ხდება ადამიანების დაჩიპვა, რომ 5G ატარებს რადიაციულ ტალღებს, რომლებიც ადამიანის იმუნურ სისტემას აზიანებს და კორონავირუსის გადამტანია და სწორედ ამიტომ გავრცელდა ვირუსი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამ კონსპირაციის თეორიებს, ბევრი დასავლელი ექსპერტი და ორგანიზაცია ეხმიანება და ცოდნასა და მეცნიერებაზე დაფუძნებული არგუმენტებით ხდება მათი გაქარწყლება. მაგალითად, სრულიად ერთმნიშვნელოვანია, რომ კორონავირუსი ისეთ ქვეყნებშიც გავრცელდა, სადაც 5G მოწყობილობა საერთოდ არ არსებობს. გარდა ამისა, ევროპის პარლამენტის კვლევითი ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნაში, კვლევებზე დაყრდნობით, ნათლად არის გაწერილი, აქვს თუ არა 5G მოწყობილობას, უფრო მაღალი სიხშირეებიდან და მილიარდობით დამატებითი კავშირებიდან გამომდინარე, უარყოფითი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე. დოკუმენტის მიხედვით, რადიო ტალღები არ წარმოადგენს საფრთხეს მოსახლეობისთვის თუმცა, სამეცნიერო საზოგადოება მიიჩნევს, რომ საჭიროა მეტი გამოკვლევა ელექტრომაგნიტური ველებისა (EMF) და 5G-ის შესაძლო უარყოფითი ბიოლოგიური ეფექტების შესახებ.

თუმცა ახალი 5G ქსელები წარმოადგენენ უსაფრთხოების უნიკალურ გამოწვევას, სრულიად სხვა მიზეზით. მათი ძირითადი ფუნქციები დამოკიდებულია პროგრამულ უზრუნველყოფაზე და არა აპარატურაზე. ეს 5G-ს, დღევანდელზე, უფრო სწრაფს ხდის, მაგრამ ამავდროულად, დაუცველს ტოვებს, პოტენციურად მავნე კიბერ-შეტევებისგან. ეროვნული უსაფრთხოებისთვის მთავარ რისკად რჩება ის, რომ 5G ქსელის ყველა მიმწოდებელს (ან მის ადგილობრივ მთავრობას) შეუძლია გაშიფროს ნებისმიერი ინფორმაციული ნაკადი, ან თუნდაც შეაფერხოს მთელი ქსელის ფუნქციონირება.

კოვიდ-19 კრიზისის დაწყებამდე, აშშ-სა და ბრიტანეთისგან განსხვავებით, ევროკავშირის სახელმწიფოებს განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ 5G ტექნოლოგიებსა და მის ჩინურ პროვაიდერებთან მიმართებაში. მას შემდეგ რაც 2019 წლის მაისში ტრამპმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებას, რომელშიც ჰუავეი დამატებულია აშშ-ს სავაჭრო სანქციების სიაში, ვაშინგტონი ახდენდა ზეწოლას ევ-

როპელ მოკავშირეებზე, კომპანიის შავ სიაში შესაყვანად. ის ევროპულ სახელმწიფოებს ტრანსატლანტიკურ ალიანსთან დაკავშირებულ უსაფრთხოების შესაძლო რისკებზე აფრთხილებდა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობის მიუხედავად, Japan Times-ის მიხედვით, საფრანგეთმა და გერმანიამ, მიმწოდებელთა დივერსიფიკაციის მიზნით, გადაწყვიტეს არ აეკრძალათ 5G ქსელით მოვაჭრე ჩინური კომპანიები. მერკელი კი, 2019 წელს აცხადებდა, რომ მას არ სურდა, ევროკავშირის რომელიმე ქვეყანას ჩინური კომპანიების შეზღუდვით ან აკრძალვით, ჩინელები „გაენაწყენებინა“. გერმანია და საფრანგეთი ევროკავშირის წამყვან ქვეყნებს და ყველაზე დიდ ეკონომიკებს წარმოადგენენ, შესამისად მათ გადაწყვეტილებებს განსაკუთრებული წონა აქვს. ამიტომ ევროკავშირი ჩინური კომპანიებით დომინირებული 5G ტექნოლოგიების ერთ-ერთი მთავარი მომხმარებელი გახდა.

2020 წლის 6 მაისს, სამოქალაქო იდეას მიერ ორგანიზებულ ვებ-კონფერენციის დროს „ლიბერალური შეხედულებები და პასუხები კოვიდ-19 კრიზისზე: გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითები”, RUSI-ს საერთაშორისო უსაფრთხოების კვლევების დირექტორმა, ნილ მელვინმა განაცხადა: „ჩვენ არ ვაქცევთ სათანადო ყურადღებას, მაგრამ ყველაფერი ნათელია ჰუავეისთან დაკავშირებით, ვგულისხმობ, სად არის 5G-ს დასავლური ალტერნატივა? ეს ისეთი საკითხებია, რომლებზეც ფიქრი უნდა დავიწყოთ. ჩვენ სტრატეგიულად უნდა მივმართოთ ჩვენი ძალისხმევა სახელმწიფოს მართვის ეკონომიკური საკითხებისკენ, რათა სხვებისთვის არ დავტოვოთ აუთვისებელი სივრცე." ეს არგუმენტი ამართლებს ჩინეთის მსოფლიო ლიდერობას 5G ტექნოლოგიის მიწოდების კუთხით. იმავე პანელის მსვლელობისას, ევროპაში აშშ-ს არმიის ყოფილმა სარდალმა და CEPA-ს სტრატეგიული კვლევების კათედრის გამგემ, ბენ ჰოჯსმა აღნიშნა: „მე არ მჯერა, რომ ერიქსონთან და ნოკიასთან მომუშავე შეერთებულ შტატებს არ შეუძლია უკეთესი ვარიანტის შეთავაზება.”

სწორედ გენერალი ჰოჯსის ოპტიმიზმის ერთგვარი გაგრძელებაა პოსტ-კოვიდ ევროპაში სიტუაციის სწრაფი ცვლილება. ჯერ კიდევ 2020 წლის ივნისში, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა დადებითი და უარყოფითი მხარეების გადაფასება და უსაფრთხო ალტერნატივების შერჩევა დაიწყეს. მაგალითად, გერმანული კომპანია „Telefonica Deutschland“ ქმნის 5G ბირთვიან მობილურ ქსელს გერმანიაში, Ericsson-ის აღჭურვილობის გამოყენებით და ამბობს, რომ შვედური მიმწოდებლის არჩევით ახალი თაობის სერვისების უსაფრთხოება გარანტირებული იქნება. გერმანიის სამი ძირითადი ოპერატორი ჰუავეისთან თანამშრომლობას წყვეტს იმ მიზეზით, რომ მათ გააჩნიათ განსაკუთრებული სოციალური პასუხისმგებლობა, უზრუნველყონ უსაფრთხო ქსელები. უფრო მეტიც, ივლისის დასაწყისში, „Telecom Italia”-მ გამოაცხადა, რომ მან ჰუავეი 5G ტენდერიდან ამოიღო ჩინეთის მთავრობის მხრიდან შესაძლო თვალთვალის გამო. რაც შეეხება საფრანგეთს, მისმა კიბერუსაფრთხოების სააგენტო ANSSI-მ უკვე მოუწოდა ფრანგულ მობილურ ოპერატორებს, თავი აარიდონ ჩინურ კომპანიასთან თანამშრომლობას. შესაბამისად, კო-

ვიდ-19-ის კრიზისთან ერთად ევროკავშირის წამყვან სახელმწიფოებში, ჩინური ტექ-გიგანტების მიმართ კრიტიკული ხედვები მატულობს, რაც მათთან შემდგომი თანამშრომლობის გაწყვეტას გულისხმობს ამერიკის, კანადისა და დიდი ბრიტანეთის მსგავსად. შესაძლოა, უახლოეს მომავალში ჩინური კომპანიები ევროპის შავ სიებშიც ვიხილოთ.




აღსანიშნავია, რომ კოვიდ-კრიზისის პერიოდში, რუსულ-ჩინური პროპაგანდისტული მანქანა მთლიანად გადართულია ევროკავშირისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების შავ პიარზე, რაც შესაძლოა ჩინური კომპანიებისადმი უნდობლობისა და კრიტიკული ხედვების გაღვივების კიდევ ერთ მიზეზს წარმოადგენდეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია კორონავირუსთან დაკავშირებული უამრავი მითი, რომელთა ძირითადი ნარატივი საერთოა და წარმოაჩენს დემოკრატიულ სახელმწიფოებს, როგორც ნაკლებად ეფექტურებს, კოვიდ-19-თან ბრძოლაში. ამ მითებს ძირითადად სოციალური მედიის საშუალებით ავრცელებენ. სწორედ ამიტომ, Facebook, Google და Twitter-ის აღმასრულებელ დირექტორებს ხშირად უწევთ სხვადასხვა სახელმწიფოს სტრუქტურების კითხვებზე პასუხის გაცემა. ევროკავშირის ბოლოდროინდელი ანგარიშები, ისევე როგორც ამერიკისა და ბრიტანეთის ხელისუფლება ხელს სწორედ ჩინეთსა და რუსეთისკენ იშვერს.

## სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა

გლობალურ ციფრულ განვითარებასთან ერთად, ჩინეთის ტექნოლოგიურმა კომპანიებმა შექმნეს არა მხოლოდ მრავლობითი მოწყობილობები და პროგრამული უზრუნველყოფა, არამედ მძლავრი სოციალური მედია პლატფორმა, რომლებმაც დიდი პოპულარობა მოიპოვეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ბევრი უცხოელი მიიჩნევს ჩინურ აპლიკაციებს, როგორც დასვენების, განტვირთვის ან უბრალოდ მხიარული ვიდეოების გადაღების საშუალებად. მიუხედავად ამისა, ერთი შეხედვით, უწყინარი პროგრამები შეიძლება შეიცავდეს უსაფრთხოების რისკებს და ემსახურებოდეს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ინტერესებს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ჟურნალისტების, მკვლევარებისა და სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის მიერ გამოცემული მრავალფეროვანი მოხსენებებისა და ჩატარებული გამოძიების თანახმად, ჩინეთის ხელისუფლება და მათი ნდობით აღჭურვილი პირები გავლენას ახდენდნენ ფართომასშტაბიან საკომუნიკაციო ნაკადებზე ზედამხედველობის, კონტროლის, ცენზურისა და პროპაგანდის მეშვეობით. შეიძლება ითქვას, რომ ამ თანამედროვე მეთოდმა გაამართლა მათი მოლოდინი და შეიქმნა ეფექტური საფუძველი მათი იდეოლოგიისა და გავლენების შემდგომი განაწილებისთვის მთელ მსოფლიოში. ამრიგად, სხვადასხვა მთავრობამ და კერძო კომპანიებმა აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, ტაილანდში, ინდოეთსა და რამდენიმე სხვა ქვეყანაში, მიიღეს გარკვეული გარდაუვალი ზომები ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ მედიასა და ინტერნეტზე დამყარებული კონტროლის შედეგად გამოწვეული უარყოფითი შედეგების შესამცირებლად. ქვემოთ განვიხილავთ საერთაშორისო მასშტაბით გავრცელებული ჩინური აპლიკაცია „ტიკ-ტოკის“ შემთხვევას და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების რისკებს.

ტიკ-ტოკი ეკუთვნის ჩინურ კომპანია Unicorn ByteDance-ს და ის ძირითადად გამოიყენება მოკლემეტრაჟიანი ვიდეოების გასაზიარებლად, რომლებსაც ჩვეულებრივ ახლავს მუსიკა და ცეკვა ან რაიმე სხვა წარმოდგენა (პერფორმანსი). ის ძირითადად ახალგაზრდებზეა გამიზნული, მაგრამ პანდემიის პერიოდში ჩვენ ვიხილეთ ხანდაზმულთა ვიდეოებიც. 2018 წელს, ტიკ-ტოკზე ამერიკაში 80 მილიონი, ხოლო ჩინეთში 400 მილიონი მომხმარებელი იყო რეგისტრირებული. ამასობაში, პანდემიის მოწყენილობის გამო, მსოფლიოში ტიკ-ტოკის მომხმარებელთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. ტიკტოკის კონფიდენციალურობის პოლიტიკა, რომელიც შექმნილია დასავლეთის სახელმწიფოებისთვის (აშშ-სა და ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის), გვაჩვენებს, რომ მონაცემები შეიძლება გადაეცეს ჩინეთს, იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი დაეთანხმება პირობებს. ეს საკითხი განსაკუთრებულ პრობლემად იქცა შეერთებული შტატებისთვის, რადგან მისი არმიის ჯარისკაცები აქტიურად იყენებდნენ ტიკ-ტოკს, აქვეყნებდნენ ვიდეოებს მათი გეოლოკაციისა და აქტივობების შესახებ. ამიტომ, აშშ-ს არმიამ და მოგვიანებით აშშ-ს საზღვაო ძალებმაც აუკრძალეს თავიანთ ჯარისკაცებს პროგრამის ჩამოტვირთვა.

მათ, ვისაც ტიკ-ტოკი უკვე ჰქონდათ მობილურ ტელეფონებში, იძულებული გახდნენ წაეშალათ იგი. აშშ-ს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ByteDance, რომელიც დაფუძნებულია ჩინეთში, შეიძლება ექვემდებარებოდეს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენზურას და შესაბამისად, აწვდიდეს სენსიტიურ სამხედრო ინფორმაციას, რომელიც გროვდება მთავრობის მიერ ჯარისკაცებისთვის გადაცემული ტელეფონებიდან.

2019 წლის ნოემბერში, აშშ-ს მთავრობამ ჩაატარა ეროვნული უსაფრთხოების გამოძიება ByteDance-ის მიერ Musical.ly-ს შეძენასთან დაკავშირებით. ეს ინფორმაცია მოგვიანებით კომპანიამ თავადაც დაადასტურა. მათ ასევე გამოხატეს შეშფოთება კომპანიის მხრიდან პოლიტიკურად სენსიტიური შინაარსის ცენზურისა და მომხმარებლების მონაცემების კონფიდენციალურობის შესახებ. იმავე წელს, აშშ-ს მთავრობამ ტიკ-ტოკი 5.7 მილიონი აშშ დოლარით დააჯარიმა ბავშვების პირადი ინფორმაციის უკანონო შენახვისთვის, მათი სახელების, სურათების, ადგილმდებარეობისა და ელ.ფოსტის ჩათვლით. ამის საპასუხოდ, აპლიკაციის მფლობელებმა განაცხადეს, რომ ისინი დაამატებენ ასაკობრივი გადამოწმების ფუნქციას თავიანთი კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად, რომლებიც ბავშვთა პირადი ცხოვრების საიდუმლოების შესახებ აშშ-ს დებულებებით რეგულირდება. უფრო მეტიც, ტიკ-ტოკი არის „2020 წლის ბინძური ათეულების სიაში" („the 2020 dirty dozen list”), რომელიც გამოქვეყნებულია სექსუალური ექსპლუატაციის ეროვნული ცენტრის მიერ, შინაარსის არასაკმარისი მოდერაციისა და უსაფრთხოების კონტროლის გამო, რაც ქმნის საქირო სივრცეს სექს-მოძალადეებისა და სექს-მოვაჭრეებისთვის.

ასევე ტიკ-ტოკი საერთაშორისო სოც. მედია ქსელებმა და ტექნოლოგიურმა კომპანიებმაც დაგმეს, განსაკუთრებით კი აღსანიშნავია Facebook და Apple. მანამდე FB-ის აღმასრულებელმა დირექტორმა მარკ ცუკერბერგმა გააფრთხილა საზოგადოება ტიკტოკის ცენზურის შესახებ ჰონგ-კონგის საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით. მან მოუწოდა დასავლეთის ქვეყნებს მკაფიოდ ჩამოყალიბებისკენ ინტერნეტ რეგულაციების შესაქმნელად. „უბრალოდ, ამაზე რომ ვიმსჯელოთ, უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს ისეთი ქვეყანა, როგორიცაა ჩინეთი, რომელსაც აქვს დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნებისგან განსხვავებული ფასეულობები”, - აღნიშნა ცუკერბერგმა ტიერი ბრეტონთან პირდაპირი დებატების დროს. იგი თვლის, რომ დასავლეთმა მსოფლიოს დემოკრატიული ალტერნატივა უნდა შესთავაზოს, რათა თავიდან აირიდოს ტიკ-ტოკის მხრიდან მომდინარე საფრთხეები. 2020 წლის ზამთარში, Apple -მა ასევე გამოთქვა შეშფოთება ტიკ-ტოკის მიერ iPhone გაჯეტების საშუალებით განხორციელებული თვალთვალის გამო. როგორც ჩანს, აპლიკაციის გახსნის პროცესში, ტიკტოკს შეუძლია სრულად წაიკითხოს ეკრანზე მოცემული ინფორმაცია. ეს შემთხვევა დადასტურდა 2020 წლის ივნისში, როდესაც უსაფრთხოების ექსპერტებმა Talal Haj Bakry და Tommy Mysk-მა გაშიფრეს, iPhone მოწყობილობებზე, ტიკტოკის საიდუმლო წვდომის ალგორითმი. დამოუკიდებელი მკვლევარებისა და თავად კომპანიის გაფრთხილებების მიუხედავად, ტიკტოკმა კვლავაც გააგრძელა ე.წ.

